MES 2 23 0000380137

04/04/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 21.03.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:07
სხდომის დასრულების დრო: 19:55
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. რატი რატიანი - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. ნინო ბაქრაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
5. ირინე ებრალიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6. თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;

7. ქეთევან ზურაშვილი - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
8. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
9. მარინე მაისურაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
10. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. ლევან ნიკოლეიშვილი - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
12. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
13. მარინა ქავთარაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
14. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
15. ნინო ღაღანიძე - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
16. ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
17. თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
18. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
19. გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
20. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**ანა ჯუღელი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**გვანცა ძიძიგური**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ნათია გოცაძე	**შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტიალტერბრიჯი**	რექტორი	I
2.	მარიამ დარბაიძე		ვიცე-რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
3.	სოსო დოლიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I
6	ავთანდილ სილაგაძე		საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	II, III
7	იური ანანიაშვილი		საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	II, III
8	სიმონ გელაშვილი		საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	II, III
9	რევაზ გველესიანი		საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	II, III
10	ელგუჯა მექვაბიშვილი		საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	II, III
11	ეთერ ხარაიშვილი	**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	II, III
12	მირიან ტუხაშვილი		საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	II, III
13	მალხაზ ჩიქობავა		სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II, III

14	ნაზირა კაკულია		საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II, III
15	ია ნაცვლიშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი	II, III
16	ქეთევან ჩიტალაძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი	II, III
17	ლევან საბაური		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II, III
18	გიორგი ღაღანიძე		ფაკულტეტის დეკანი	II, III
19	შოთა ფოთოლაშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	II, III
20	ნინო ქიმერიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის შეფასებისა და კვლევების განყოფილების უფროსი	II, III
21	დავით მახვილაძე		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV, V, VI, VII
22	ხათუნა მხეიძე		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	IV, V, VI, VII
23	ივანე ჯაგოდნიშვილი		სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	IV, V, VI, VII
24	ნინო იმნაძე		სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი	IV, V, VI, VII
25	ეკატერინე შაკიაშვილი		სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედია-ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV, V, VI, VII

26	ნინო ხაბეიშვილი	**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV, V, VI, VII
27	ალექსანდრე სიჭინავა		„ეკონომიკის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V, VI, VII
28	ელენე მენაბდე-ჯობაძე		„ეკონომიკის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V, VI, VII
29	დემნა კვარაცხელია		„ეკონომიკის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V, VI, VII
30	ლია ლურსმანაშვილი		„მოდის დიზაინის ტექნოლოგიების“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V, VI, VII
31	დალი სეხნიაშვილი		პროფესორი	IV, V, VI, VII
32	ირინე მამალაძე		პროფესორი	IV, V, VI, VII
33	თეიმურაზ ქორიძე	**შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი**	რექტორი	VIII
34	თამარ ტუფინაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VIII
35	პაატა კუნჭულია		ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	VIII
36	დავით კბილაძე		ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	VIII
37	მაკა ლაშხია	**სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IX
38	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IX
39	თორნიკე კახელი		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის სპეციალისტი	IX
40	ემზარ ჯგერენაია		პროფესორი, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	IX

41	ნინო მატარაძე		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	IX
42	ზვიად ზალიკიანი		ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	IX
43	თეა კორძაძე	**სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	X
44	ლუკა დვალიშვილი		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	X
45	ინგა აბრამიძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	X
46	მერაბ ჭუმბურიძე		არქეოლოგიის საბაკალავრო და არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი	X
47	სულხან კუპრაშვილი		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	X
48	დავით წულეისკირი		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	X

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ლილი ხეჩუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I

2	მზია თედიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თინათინ გაბრიჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო შანგუა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
6	მარინა ჩავლეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V
7	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI, VIII
8	მაია გრძელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
9	თეიმურაზ პაპასქირი	(ჩაერთო „ზუმით“)	X
10	ემზარ კახიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	X
11	ემზარ მაკარაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	X
12	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	X

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:07 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ალტერბრიჯის “ფსიქოლოგიის” საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

8. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.
10. სსიპ - აკაკი წერეთლის სახემწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის და არქეოლოგიის" კლასტერის (ისტორიის და არქეოლოგიის საბაკალავრო, ისტორიის და არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები) აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ალტერბრიჯის „ფსიქოლოგიის” საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
8. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

10. სსიპ - აკაკი წერეთლის სახემწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის და არქეოლოგიის" კლასტერის (ისტორიის და არქეოლოგიის საბაკალავრო, ისტორიის და არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები) აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1საკითხი. პს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ალტერბრიჯის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფსიქოლოგია, 0313
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი 0162, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი #67
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ მათი ჯგუფის ვიზიტი წარმოდგენილ დაწესებულებაში გაიმართა მიმდინარე წლის 16 იანვარს, შეფასება მიმდინარეობდა გაწერილი გრაფიკის მიხედვით. ყველა დამატებითი დოკუმენტაცია, რაც დასჭირდათ დაწესებულებამ ოპერატიულად მიაწოდა ექსპერტთა ჯგუფს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა შესაბამისობაშია 4 სტანდარტთან - მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან , ხოლო მეტწილად შესაბამისია 1-ელ სტანდარტთან. ასევე აღნიშნა, რომ ფსიქოლოგიის პროგრამები მთელი ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს, თუმცა დიდ მოთხოვნას ფსიქოლოგებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევაც აჩვენებს. აღნიშნული პროგრამების საჭიროება იზრდება და ყველას ჰყავს თავისი სტუდენტი. ესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამა დაწესებულების მისიაში, სტრატეგიაში ლოგიკურად არის გააზრებული. მთელი რიგი რეკომენდაციები, რომლებიც თავდაპირველად იქნა გაცემული, შეიცვალა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის მიღების შემდეგ, რაც განაპირობა თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას ერთმანეთს შორის. არგუმენტირებული პასუხის შემდეგ, ექსპერტებს მოუწიათ განახლებული პასუხის დაწერა და ჰქონდათ მინიშნება, რომ დაწესებულებამ პრაქტიკულად უკვე შეასრულა რიგი რეკომენდაციებისა, რომლებიც ხანმოკლე ვადაში განხორციელებადი იყო. თუმცა ფორმატი არ ითვალისწინებს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენას, როდესაც საბჭომდე მოდის ექსპერტთა ანალიზი. მაგრამ რიგი რეკომენდაციები მაინც დარჩა იმ სახით, რა სახითაც იყო წარმოდგენილი. შემდეგში უკვე დაწესებულება წარმოადგენს დოკუმენტაციას რეკომენდაციების შესრულების შესახებ. ექსპერტების ყურადღება ძირითადად მიიპყრო პროგრამის შინაარსობრივმა მხარემ, რომელზეც იმსჯელეს ა რიგი რეკომენდაციები სწორედ ამ ნაწილზე გაიცა. ბოლოს ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა, როდესაც მიიღებს აკრედიტაციას და გაითვალისწინებს ყველა რეკომენდაციას ბაზარზე ნამდვილად იქნება კიდევ ერთი კარგ, გამართულ და კომფორტულ გარემოში კარგი კოლექტივით და პროფესიონალებით დაკომპლექტებული საბაკალავრო პროგრამა. ამისათვის კი საჭიროა დაწესებულება მიჰყვეს რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ნათია გოცაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის. აღნიშნა, რომ ალტებრიჯი არის ახალი ინსტიტუცია, რომელიც 3 წელია უმაღლესი განათლების ბაზარზე ფუნქციონირებს. მათი მიზანია, რომ ალტერბრიჯში შემუშავებული ნებისმიერი პროგრამა, პირველ რიგში იყოს მათი სტრატეგიის, მისიის და ხედვის მატარებელი და სრულად ასახავდეს ალტერბრიჯის პოზიციას. მათი მიზანია შექმნან ისეთი საგანმანათლებლო სივრცე და გარემო, სადაც სტუდენტი მიიღებს როგორც პიროვნულ, ასევე კარიერულ განვითარებას და ექნება თვითრეალიზაციის საშუალება. ასევე აღნიშნა, რომ მათი კვლევა ეყრდნობა შრომის ბაზრის კვლევას. რაც შეეხება ფსიქოლოგიის პროგრამას: მიუხედავად იმისა, რომ სამწლიანი გამოცდილება აქვთ უმაღლეს საგანმანათლებლო სფეროში, 10 წელზე მეტია ზოგადად საგანმანათლებლო ბაზარზე არიან, ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, კვლევების ჩატარებისას ჰქონდათ კონსულტაციები, მენტორინგი, არაფორმალური განათლების პროგრამები მუდმივად იკვეთებოდა ფსიქოლოგის საჭიროება. მან აღნიშნა , რომ ამ პროგრამამ ერთი წლის წინ გაიარა აკრედიტაციის პროცესი და მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. როგორც კი დაიდო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, მთელი შემადგენლობით შეიკრიბნენ და ფაქტობრივად გაითვალისწინეს ერთი წლის წინ მიღებული ყველა რეკომენდაცია, მათ შორის შინაარსობრივ ნაწილში სამიზნე ნიშნულებთან, აკადემიურ

პერსონალთან მიმართებით და არა მხოლოდ. ყველა რეკომენდაცია გათვალიწინებულია და სრულად არის ასახული ახალ პროგრამაში. შესაბამისად, ის რეკომენდაციები რომლებიც ახლა იქნა გაცემული არის განმავითარებელი ხასიათის. ის რეკომენდაციები, რომლებსაც ეთანხმება უსდ აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. პროგრამა მხოლოდ ერთი სემესტრია ფუნქციონირებს და სტუდენტები ჰყავთ. მათთან გასაუბრების შედეგად უკვე გამოიკვეთა როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, რამდენად აქტიური და ინტერაქტიულია და რამდენად არის სტუდენტების ჩართულობა სასწავლო პროცესში. ინტერნაციონალიზაციის კუთხით რამდენიმე სტუდენტი გააგზავნეს პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად კვიპროსზე, პორტუგალიაში და ესპანეთში. რაც იმას ნიშნავს, რომ დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს ყველა რეკომენდაციის შესრულებას და ზოგადად სასწავლო პროცესის წარმატებით განხორცილებას. ხარისხის კონტროლი ხდება მუდმივად. როგორც ახლი ინსტიტუცია მაქსიმალურად არიან ორიენტირებულნი , რომ ბაზარზე შეიქმნას კიდევ ერთი კარგი პროგრამა რომელშიც აღზრდილი ფსიქოლოგები დასაქმებულნი იქნებიან შრომის ბაზარზე. ნ. გოცაძემ აქვე დამატა, რომ რეკომენდაცია იყო პარტნიორ ორგანიზაციებთან დაკავშირებით. ალტერბრიჯი არის ინსტიტუცია, რომელიც გამოირჩევა პარტნიორების სიმრავლით, რომელთა რიცხვი იზრდება საოცარი არითმეტიკული პროგრესიით; აქტიურად თანამშრომლობენ შრომით ბაზართან - როგორც კერძო ბიზნესთან, ასევე საჯარო სექტორთან . შრომის ბაზართან თანამშრომლობის 10 წლიანი გამოცდილება, მათ აძლევს საშუალებას გააფართოვონ პარტნიორთა სია. შესაბამისად, მათ პარტნიორების ჩამონათვალი იმდენად დიდი და მრავალფეროვანია, რომ შეუძლებელია აქ სტაჟირება მხოლოდ კლინიკური მიმართულებით გაიარონ სტუდენტებმა , რადგან ფაქტობრივად ყველა სფეროა წარმოდგენილი დაწყებული ბიზნესი , მსხვილი ბიზნესი , მცირე ბიზნესი , კერძო და საჯარო სექტორი , აკადემიური სექტორი , სკოლა და ა.შ. შესაბამისად, დაწესებულება ორიენტირებულია მათმა სტუდენტებმა გამოცდილება მიიღონ ინტერესებიდან გამომდინარე. აქვე დაამატა, რომ მათი სტუდენტები პირველივე სემესტრში გადიან სტაჟირებას.

დაწესებულების შემდეგი წარმომადგენელი მარიამ დარბაიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კონსტრუქციული მუშაობისთვის. აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ნაწილი გაითვალისწინეს აისახა და დეკლარირებულიც იქნა საბოლოოდ დასკვნაში. ნაწილი კი დატოვეს ისე, როგორც იყო. პირველი რეკომენდაცია ამბობს, რომ სწავლის შედეგები აღწერდეს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას. აქ საუბარი იყო რომ რეკომენდაციაში ორგან მეორდებოდა რამდენიმე სასწავლო კურსის დამატება. ეს რა თქმა უნდა გაამრავალფეროვნებს და მიმზიდველს გახდის პროგრამას, ასევე ბაზარზე ორიენტირებულს, რაშიც დაეთანხმნენ, მაგრამ აქვე გამოჰყო დეკლარირებული ჩანაწერი 1.2 ქვესტანდარტში, რომ „სწავლის შედეგები ლოგიკურად გამომდინარეობს, შეესაბამება პროგრამის დეკლარირებულ მიზნებს და გაზომვადია“ და ასევე 1.4 ქვესტანდარტზე იკითხება შემდეგი ჩანაწერი: ,,სწავლის შედეგები ნამდვილად შეესაბამება კვალიფიკაციის მეექვსე დონეს დეტალური სფეროს აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.“

რაც შეეხება კვლევით კომპონენტს, სადაც საუბარია გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა და საგნები - აღნიშნა , რომ დათვალა თუ რა რაოდენობით იყო კვლევის მიმართულებით საგნები. მათ კურიკულუმის ბადეში აქვთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში; თვისებრივი კვლევის მეთოდები და საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც ნაწილობრივ ბაკალავრის დონეზე კვლევით კომპეტენციას უვითარებს სტუდენტს, რომელიც მთლიანი ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების 162 კრედიტიდან წარმოადგენს 26 კრედიტს. აქ იყო საუბარი SPPS ცალკე საგნად გამოეტანათ, მიუხედავად იმისა რომ კვლევის მეთოდების ნაწილში ეს საკითხები იყო შეტანილი. ეს საკითხი გაითვალისწინეს, რადგან მიიჩნიეს, რომ ეს რეკომენდაცია განვითარებაზე იყო ორიენტირებული.

რაც შეეხება სასწავლო კურსის პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსებს, ამაზე დეკლარირება თავად ექსპერტებმა გააკეთეს, რის გამოც მადლობა გადაუხადა მათ. აქვე დაამატა რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი. ასევე საუბარი იყო საკითხის გადაფარვაზე გარკვეულ საგნებში. ვინაიდან თავად კითხულობს ქცევით ბიოლოგიურ საფუძვლებს, გადაფარვა იყო ქცევით ბიოლოგიურ საფუძვლებისა და ნეიროფიზიოლოგიის, რომელიც იყო არჩევითი სასწავლო კურსი. ეს საკითხიც უკვე განიხილეს. რაც შეეხება ბიბლიოთეკის განახლებას, აღნიშნულ საკითხზე მუდმივად მუშაობენ, მათი აკადემიური პერსონალი არიან პრაქტიკოსები, რომლებსაც აქვთ საკუთარი ცენტრები, კლინიკები. გუგა სიხარულიძე, ნანა ჩაჩუა, რომლებიც აქტიურ კვლევით საქმიანობას ახორციელებენ. ბევრი ლიტერატურა არის ინგლისურ ენაზე. თამუნა შენგელია, რომელიც ბრიტანეთში მოღვაწეობს და იქ აქვეყნებს კვლევებს. დაწესებულება აწარმოებს რიდერების თარგმნას, რომელსაც აფინანსებს ინსტიტუცია. ბოლოს აღნიშნა, რომ ეს აკრედიტაციის ვიზიტი იყო სასარგებლო, რაც ექსპერტთა ჯგუფის პროფესიონალიზმზე მეტყველებს .

დაწესებულების წარმომადგენელი სოსო დოლიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა რომ გაითვალისწინეს ყველა გაცემული რეკომენდაცია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რაც გაითვალისწინეს არის ის, რომ შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია შეიტანეს და დაამატეს პროგრამას. ფაქტობრივად გაითვალისწინეს რეკომენდაციების დიდი რაოდენობა, მათ შორის ისიც რომ არჩევითიდან რამდენიმე საგანი გადაიტანეს ძირითადში. რაც შეეხება ორ საგანს, ისინი დატოვეს ძირითად საგნებში, რისი არგუმენტირებული პოზიციაც მოცემულია. ეს არის "ფსიქოკონსულტაციის და ფსიქოთერაპიის საფუძვლები" და „ბავშვთა ფსიქოლოგია". მათი აზრით, ეს არის ფსიქოლოგიის ფუნდამენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

ხათუნა თოდაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, დაუსვა კითხვა ექსპერტს. ის კურსები რომელიც ძირითადიდან უნდა გადასულიყო არჩევითში, ნაწილი გადატანილია ნაწილის კი არ დაეთანხმა ინსტიტუცია. დოკუმენტში ჩანს, რომ „პათოფსიქოლოგია", „ნეიროფსიქოლოგია", და მათ შორის ''ბავშვთა ფსიქოლოგია '' უნდა გადავიდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალში. სთხოვა დაეზუსტებინა რამდენად სწორია ეს ინფორმაცია. ასევე კითხვა დაუსვა ინსტიტუციას კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით, აღნიშნა რომ კვლევითი კომპონენტის უკმარისობაა და მიზანშიც ნაკლებად აისახება. სთხოვა კიდვ უფრო დაეზუსტებინა ამ ნაწილში რას აკეთებს პროგრამა.

ექსპერტმა თქვა, რომ 6 კურსი იყო პირველად რეკომენდაციაში, სადაც სავალდებულოდან არჩევითში გადატანის რეკომენდაცია გასცეს. სასწავლო კურსები „პათოფსიქოლოგია", „ნეიროფსიქოლოგია", „ბავშვთა ფსიქოლოგია", „ფსიქოკონსულტაციის და ფსიქოთერაპიის საფუძვლები" და „განათლების ფსიქოლოგია" გადატანილ იქნეს არჩევით კურსების ჩამონათვალში. პირველი ვერსია ეფუძნებოდა იმას რომ ბაზისური კურსებით იფარება რიგი საკითხები, თუნდაც ბავშვის ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგიის მშვენიერი კურსია შემოთავაზებული და განითარების ფსიქოლოგია ფარავს ბავშვის ფსიქოლოგიას. მესამე დონის კურსების გადატანა იქნა რეკომენდირებული არჩევითში და ბაზისური 1-ლი და მე-2 დონის კურსების დატოვება სავალდებულოებში. არის რიგი კურსები, მაგალითად ნეირო ფსიქოლოგია არ არის ბაზისური კურსი, რთული ვიწრო სპეციფიკური, ვიწრო სპეციალიზაციით, ვინაიდან ბაკალავრიატი არ არის ვიწრო სპეციალიზაციისთვის მოწოდებული. მაგალითად, პათოფსიქოლოგიის სავალდებულო კურსებში შეთავაზება ეს იქნება არჩევანის თავისუფლების შეზღუდვა, როდესაც დაწესებულებასთან და კერძოდ პროგრამის განმახორციელებელსაც აქვს თავისი ხედვა და თვლის, რომ რომელიღაცა კონკრეტული კურსი, მაგალითად, "ფსიქოთერაპიის საფუძვლები" გარდა იმ ბაზისურისა, უნდა ისწავლონ მისმა სტუდენტებმა, როგორც ექსპერტს არანაირი პრეტენზია და წინააღმდეგობა არ აქვს მიჰყვეს და დაეთანხმოს მის ლოგიკას. მთავარია ბაზისური კურსები იყოს სავალდებულო რაც ყველა შემთხვევაში საჭიროა მიუხედავად იმისა თუ რა მიმართულებით წავა სტუდენტი. როგორიც იყო "შრომის

და ორგანიზაციული ფსიქოლოგია", რომელიც ისეთივე ბაზისურია, როგორც სოციალური ფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია განვითარების ფსიქოლოგია მითუმეტეს იმ კონტექსტში რა სტრატეგია და მისიაც აქვს დაწესებულებას დეკლარირებული. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტებს, დაწესებულების წარმომადგენლებმა სწორად აღნიშნეს, რომ ძალიან გრძელია მათი მემორანდუმების და თანამშრომლობის ჩამონათვალი. უბრალოდ ის რეკომენდაცია, რომელიც მოცემულია დეკლალირებული აღნიშნული და ჩამოთვლილი, რაც იყო თვითონ პროგრამის აღწერაში იქ უნდა დაამატონ დანარჩენი ორგანიზაციები, რომელთანაც პარტნიორობა ისედაც აქვთ. 5 დაწესებულება იყო წარმოდგენილი და ხუთივე კლინიკური მიმართულებისაა.

რაც შეეხება კვლევით კომპონენტს: მიუხედავად იმისა, რომ კრედიტების რაოდენობით სოლიდურად გამოიყურება, როდესაც შინაარსში ჩავალთ რაოდენობრივ და თვისობრივ კვლევით მეთოდებზე რეკომენდაციაში დეტალურად არის გაწერილი რატომ გაიწერა კვლევითი უნარების განვითარებაზე ის რეკომენდაცია, რაც დაიწერა. ერთ-ერთი რაც არის ეს არის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საკითხი და პლუს კვლევაზე ორიენტაცია მიზნებშიც ნაკლებად ჩანდა, თვითონ კურსებში ნაკლებად იყო წარმოდგენილი მიუხედავად იმისა, რომ კრედიტების რაოდენობის თვალსაზრისით ნამდვილად სოლიდურად არის წარმოდგენილი. არჩევითი საგნის მიმართულებით შეიძლება კვლევის კომპონენტის დამატება. თუ ყველაფერი ისე დალაგდება, როგორც ეს არის რეკომენდაციაში, მაშინ კვლევითი კომპონენტის განვითარების რეკომენდაციაც დაკარგავს ძალას.

სოსო დოლიძემ ისაუბრა კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით, აღნიშნა რომ რაოდენობრივად ბევრი აქვთ ასეთი საგანი. აღნიშნა რომ კონკრეტული რეკომენდაციები გაითვალისწინეს, დაუკავშირდნენ როგორც რაოდენობრივის, ისე თვისებრივის და სტატისტიკურის ლექტორებს და მეტად მოარგეს. რაც შეეხება ჩამონათვალს, აღნიშნა რომ ისინი ასწავლიან რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს, თვისებრივი კვლევის მეთოდებს, სტატისტიკურ მეთოდებს ფსიქოლოგიაში და ასევე გაითვალისწინებს SPPS საკითხს.

ექსპერტმა დაამატა, კვლევის მეთოდთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ აქ საუბარი იყო სტატისტიკის კურსისა და SPPS-ის კურსის გამიჯვნაზე. ეს ზოგადად მიღებული პრაქტიკაა, რომ სტატისტიკა როგორც თეორიული მოცემულობა და თეორიული მეთოდების ერთობლიობა, შემდეგ უკვე რომელიღაცა პროგრამას ეს იქნება SPPS ან სხვა. ეს მაგისტრატურის და დოქტორანტურის პრაქტიკა უფროა. რაც შეეხება ბაკალავრიატს კველევითი კომპონენტის გაძლიერება იქნება ზუსტად ამ ორი კურსის გაყოფა. ერთი სემესტრის განმავლობაში მაინც ცალკე სტატისტიკის სწავლება, როგორც მეცნიერება მონაცემთა დამუშავების შესახებ და მეთოდების ნაკრები, ბაკალავრიატში ამის სწავლება აბსოლუტურად საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიის კვალიფიკაციისთვის. SPPS არჩევითი იქნება, სავალდებულო თუ საერთოდ ამოიღებენ, ეს უკვე გემოვნების ამბავია.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ისინი ინტენსიურად ახორციელებენ კვლევით კომპონენტებს პროფესორებთან ერთად იმიტომ, რომ აკადემიური პერსონალის უმრავლესობა არის მოქმედი პრაქტიკოსი ფსიქოლოგი, ამ მიმართულებით კონფერენციების კონკურსების დონეზე, ქეისების განხილვის დონეზე, მასტერკლასების დონეზე ამ ტიპის კონკურსებს აკეთებენ. საბაკალავრო დონეზე კვლევითი პოტენციალზეც მუშაობენ. სხვა ფაკულტეტის სტუდენტებმაც გამოთქვეს სურვილი აირჩიონ ფსიქოლოგიის სასწავლო კურსები.

გურანდა ჭელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას დასვა დამაზუსტებელი კითხვა პროგრამის ხელმძღვანელთან. ყოველთვის როდესაც საუბარია სარეკომენდაციო ნაწილში სავალდებულო სასწავლო კურსების არჩევით სასწავლო კურსებში გადატანაზე და დაწესებულება იზიარებს ამ პოზიციას ნაწილობრივ, ბუნებრივია, რომ პროგრამის სტრუქტურის ნაწილი დგება დღის წესრიგში. მათ გაიზიარეს SPPS და შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულებით ექსპერტთა რეკომენდაცია და ამით დააბალანსეს პროგრამული გეფი კრედიტების თვალსაზრისით სავალდებულო სასწავლო კურსებიდან არჩევით კურსებში სასწავლო კურსების გადატანის შემთხვევაში? ასევე დასვა კითხვა ასეთი ცვლილებების

შემთხვევაში რამდენად შეინარჩუნეს პროგრამის განვითარების ლოგიკური და თანმიმდევრული ხაზი, რომელიც ამ პროგრამის სტუდენტს შედეგზე გაიყვანს.
ან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელთა საუბრიდან ირკვევა სტუდენტების საზღვარგარეთ მივლინებისა და სტაჟირებებების შესახებ. აღნიშნა, რომ სტაჟირება არ არის პროგრამაში გათვალისწინებული აქტივობა, ეს არის ექსტრაკურიკულალური აქტივობა და შესაბამისად ეხება თუ არა სტაჟირება კონკრეტულად ფსიქოლოგიის საბაკალავრო სტუდენტებს და როგორ ახერხებს პირველი კურსის სტუდენტი ამის გაკეთებას? თუ ეხება, მაშინ რომელი კონკრეტული პროგრამები გამოიყენეს უცხოეთში მივლინების მიზნით, რადგან როგორც ცნობილია არ ვრცელდება ერასმუსის გაცვლითი პროგრამები 1-ლი კურსის სტუდენტებზე. სოსო დოლიძემ პროგრამის კურიკულუმში განხორციელებული ცვლილების შესახებ უპასუხა, რომ რადგან რეკომენდაციები არ იყო რადიკალურად განსხვავებული დაწესებულების მიზნებთან მიმართებაში, ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით მათი მიზნები საერთოდ არ შეცვლილა, პირიქით გაძლიერდა. ის მიზნები რაც უნივერსიტეტს ჰქონდა, მაგალითად შრომის და ორგანიზაციის დამატება, SPPS და ზოგიერთი საგნის გადატანა არჩევითში ეს არ ცვლის პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებზე გასვლას
ნათია გოცაძემ ისაუბრა სტრუქტურასთან დაკავშირებით, თქვა რომ ეს ცვლილებები არ აისახება პროგრამის სტრუქტურაზე, არც მიზნებზე და არც შედეგებზე, უბრალოდ მოხდება კურსების გადანაცვლება , რაც პროგრამას უფრო გააძლიერებს. თითოეული რეკომენდაცია, რომელიც გაიცა ლოგიკურად ჯდება პროგრამის მიზნებსა და შედეგებში და სტრუქტურულ ცვლილებას არ იწვევს.
ასევე ისაუბრა სტაჟირებასთან დაკავშირებით თქვა, რომ აქ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები იგულისხმებიან. ეს არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ მსგავსი პრაქტიკა გავრცელდება ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტებზე, იმიტომ, რომ მათი ამოცანა არ არის სტაჟირება პირველკურსელმა გაიაროს პროფესიული კუთხით, მათი ამოცანაა კომპეტენციებსა და უნარებზე ორიენტირებული სტაჟირების სისტემები შექმნან. აქვე აღნიშნა, რომ ერასმუსი პირველკურსელებთან მოკლევადიან პროგრამებზე ვრცელდება. ლევან გაბედაძე იმყოფებოდა კვიპროსზე ორ კვირიანი გაცვლითი პროგრამით, რაც ასევე კომპეტენციებზე არის ორიენტირებული.
გოდერძი ბუჩაშვილმა დაუსვა კითხვა ექსპერტს, სავალდებულო სასწავლო კურსების არჩევით კომპონენტში გადატანა ხომ არ გამოიწვევდა პროგრამის სტრუქტურის ცვლილებას?
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ რაც აქვთ დეკლარირებული, ის მოცემული სტრუქტურა და კომბინაცია არსებულს ფარავდა. ის ცვლილება რა ცვლილებასაც შეიტანენ თქვა, რომ მოუწევთ მოდიფიკაცია, მაგრამ უფრო ზუსტად გავა იმ შედეგზე რა შედეგზეც უნდა გავიდეს აღნიშნული საბაკალავრო პროგრამა. საუბარია შრომის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის დამატებაზე, რომელიც, გაწერილ ბაზისურ კომპეტენციებში, სწორედ ჩაჯდება კომპეტენციების რუკაში და ზუსტად მოერგება იმ შედეგებს, რომელსაც უნდა მოერგოს. სტრუქტურა დრამატულად არ იცვლება პირიქით მდიდრდება. რაც შეეხება SPPS და სტატისტიკის კურსის გაყოფას ეს შინაარსობრივი ცვლილებაა. კრედიტების ის რაოდენობა, რომელიც “შრომის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიისთვის” გამოთავისუფლდა ერთ-ერთის არჩევითებში გადატანით, ის ადგილია ზუსტად, რაც “შრომის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიას” უნდა დაეკავებინა იმ გაწერილ შედეგებზე გასასვლელად, რომელიც დეკლარირებული აქვს დაწესებულებას. რაც შეეხება სტრატეგიას და მისიას, ორგანიზაციებთან ურთიერთობას, აუცილებელია ეს პროგრამა იყოს ერთგვარი ხიდი აკადემიასა და ბიზნეს შორის. ის ერთი რგოლი, რაც აკლდა, არის ზუსტად ეს “შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის” ბაზისური კურსი, რომელზედაც დაშენდება არჩევითი კურსები. შედეგზე გასვლა კი იქნება ამ კურსის დამატებით სრულყოფილი. პირველი რეკომენდაცია სწორედ მიბმულია სტრუქტურაში ამ ერთი ცვლილების შეტანით რეკომენდაციაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:49 სთ
დასრულების დრო: 15:13 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: პს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ალტერბრიჯის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2028 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლისა და 6 თვის თავზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „$ბ^1$" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, პს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ალტერბრიჯის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2028 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლისა და 6 თვის თავზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.
დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:

რეკომენდაციები:

- სწავლის შედეგები აღწერდეს იმ ცოდნას, უნარებს, და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას;
- სასწავლო კურსები „პათოფსიქოლოგია", „ნეიროფსიქოლოგია" და „ბავშვთა ფსიქოლოგია" გადატანილ იქნეს არჩევით კურსების ჩამონათვალში;
- საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კურსების ჩამონათვალს დაემატოს (ა) შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია და (ბ) ექსპერიმენტული ფსიქოლოგია;
- ცალ-ცალკე სავალდებულო კურსის სახით შეეთავაზოთ სტუდენტებს სტატისტიკა (ერთ ან ორნაწილიანი კურსი) და სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისთვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფის (მაგალითად, SPSS-ის) სწავლებაზე მიმართული კურსი;
- გამრავალფეროვნდეს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კურსების ჩამონათვალი და გაიზარდოს ისეთი სპეციფიკური კურსების რაოდენობა, რომლებიც არ განეკუთვნებიან კლინიკურ სფეროს, მაგალითად, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულებით;
- გადაიხედოს სასწავლო კურსების „პიროვნების ფსიქოლოგია 1" და „თვისებრივი კვლევის მეთოდები" წინაპირობები და წინაპირობის გრაფაში მიეთითოს „წინაპირობის გარეშე;
- სასწავლო კურსის „კომუნიკაციის ფსიქოლოგია" სახელწოდებებისა და შინაარსის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

- კურსების „ნეიროფიზიოლოგია სოციალურ მეცნიერებებში“ და „კლინიკური ფსიქოლოგია“ სასწავლო გეგმიდან ამოღება, ან მათი შინაარსის იმგვარად მოდიფიცირება, რომ (მთლიანად ან ნაწილობრივ) არ იმეორებდეს სხვა სასწავლო კურსის შინაარსს.
- სავალდებულო სასწავლო კურსების „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ და „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ შინაარსი და საკითხავი ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან.
- კურსის „სტატისტიკის მეთოდები ფსიქოლოგიაში“ ორ ცალკეულ კურსად გაყოფა, რომელთაგან ერთი სავალდებულო (ერთ ან ორ სემესტრიანი) კურსი იქნება და საკუთრივ სტატისტიკის სწავლებას უზრუნველყოფს, ხოლო მეორე საკუთრივ SPSS-ის გამოყენებას ასწავლის სტუდენტებს და პროგრამის განმახორციელებლების სურვილისამებრ, სავალდებულო ან არჩევითი კურსების ჩამონათვალში იქნება შეთავაზებული.
- გადაისინჯოს პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ კურსებში შეთავაზებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა, საჭიროების შემთხვევაში ჩანაცვლდეს რელევანტური და შედარებით ახალი, თანამედროვე ცოდნისა და დარგის უახლესი მიღწევების ამსახველი წყაროებით, რომლებიც სოციალურ მეცნიერებებში წყაროების მითითების დადგენილი წესით მიეთითება სილაბუსის შესაბამის ნაწილში. ეს კურსებია: „ფსიქოლოგიური ტრავმა და მასთან დაკავშირებული მდგომარეობები“, „პათოფსიქოლოგია“, „ნეიროფსიქოლოგია“, „ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები“, „შესავალი სექსოლოგიაში“, „სამხედრო ფსიქოლოგია“;
- საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს კვლევითი უნარების გამომუშავებაზე მიმართული კომპონენტები, რაც გულისხმობს იმას, რომ (ა) არსებული კურსების შინაარსი მეტ შესაბამისობაში მოვიდეს ფსიქოლოგიის დარგის სპეციფიკასთან და (ბ) პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული სავალდებულო კურსები სრულად უზრუნველყოფდეს ფსიქოლოგის კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულისთვის აუცილებელ კვლევით კომპეტენციებს;
- ფსიქოლოგიის საგანამანთლებლო პროგრამაში წარმოდგენილი იყოს დარგის შესაბამისი პრაქტიკის სილაბუსი როგორც მისი დასახელების, ისე შინაარსის, გაწერილი აქტივობებისა და შეფასების კრიტერიუმების თვალსაზრისით;
- პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციების შერჩევისას (ა) გათვალისწინებულ იქნეს ფსიქოლოგიის დარგის მრავალფეროვნება და ფართო დიაპაზონი, რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტს მიეცეს არაკლინიკური გარემოსგან განსხვავებული სამუშაო გარემოში ყოფნის გამოცდილების მიღების შესაძლებლობა და (ბ) პრაქტიკისთვის შერჩეული ორგანიზაციების საქმიანობის სფერო შესაბამისობაში იყოს პროგრამის შინაარსში შეთავაზებული ქვედარგებისა თუ მიმართულებების შინაარსთან;
- ერთი მხრივ, აკადემიური/მოწვეული პერსონალის კორპუსის კვალიფიკაციის/ კომპეტენციებისა და, მეორე მხრივ, მათ მიერ წაკითხული კურსების თემატიკის/შინაარსის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

რჩევები:

- საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში მითითებული კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაში მოვიდეს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული კრედიტების რაოდენობასთან. (20 კრედიტის ნაცვლად სილაბუსში უნდა იყოს 10 კრედიტი).

საბჭომ, თავმჯდომარის შუამდგომლობით მე-2 და მე-3 საკითხი ერთად განიხილა.

2 საკითხი. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.12.2021, № 1427063
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა Economics 0311.1.1 ეკონომიკა Economics
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. #2, თბილისი, თსუ X (მაღლივი) კორპუსი, 0186, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

3 საკითხი. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.12.2021, № 1427063

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა Economics 0311.1.1 ეკონომიკა Economics
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. #2, თბილისი, თსუ X (მაღლივი) კორპუსი, 0186, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ, თამარ ზარანდიამ, მამუკა ხუსკივაძემ და ნინო ღაღანიძემ.
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეორე და მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ეკა გეგეშიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო პროგრამაზე რეკომენდაციები იყო ძალიან ცოტა. უნივერსიტეტმა იმუშავა ძალიან ინტენსიურად და ყველა რეკომენდაცია ფაქტობრივად შეასრულა, რომლთა შესახებ ანგარიშიც წარმოადგინა. უნივერსიტეტმა კათედრებთან და დეპარტამენტებთან ერთად, შექმნა სპეციალური ჯგუფი, რომელმაც ინტენსიურად იმუშავა ამ რეკომენდაციების შესრულებაზე. საბაკალავრო პროგრამაზე შეიცვალა კვლევითი პროექტის სილაბუსი. კერძოდ, რეკომენდაცია იყო, რომ მხოლოდ ფინალური შეფასება არ უნდა იყოს, შესაბამისად, გაიმიჯნა. დაზუსტდა ყველა სილაბუსების სწავლების შედეგები სპეციფიკის გათვალისწინებით, ამავდროულად დაზუსტდა სწავლა-სწავლების მეთოდები და მნიშვნელოვანი ცვლილებებიც შევიდა

სილაბუსებში. ეს პროგრამა თავისი მოდულებით და სილაბუსებითურთ მთლიანად გადაიხედა. სილაბუსებში წარმოდგენილია ძალიან კარგი შეფასების სისტემები. თავის დროზე თვითონაც იყო აკრედიტაციის ჯგუფის წევრი, მაშინდელთან შედარებით სრულყოფილად არის გაკეთებული ბევრი რამე. რაც ადასტურებს იმას რომ უნივერსიტეტმა ინტენსიურად იმუშავა. ერთ-ერთი რჩევა ეხებოდა მიზნის იმგვარად ფორმირების საკითხს, რომ მასში არ იკვეთებოდეს სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების გაგრძელების საკითხი. შესაბამისად დააზუსტეს ეს მიზნები.
რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამას, აქ ნაკლები რეკომენდაციები იყო თავის დროზე გაცემული. ეს რეკომენდაციები უნივერსიტეტმა სრულად გაითვალისწინა. დააზუსტა რომ B2 პროგრამაზე დაშვების წინაპირობა კარგად ასახულიყო პროგრამაში. რიგი სასწავლო კურსების სილაბუსში მითითებული სავალდებულო მასალის შევსება განახლება მოხდა. ასევე კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით მოხდა სწავლების შედეგების გადახედვა და ფორმულირება. შესაბამისი დოკუმენტაცია შესრულებული სამუშაოშიც წარმოადგინა. რაც შეეხება რჩევას, ერთი ეხებოდა ტექნიკურ გადაიარაღებას, სასურველია პროგრამის განხორციელებას ემსახურებოდეს მაღალი კონფიგურაციის კომპიუტერული ტექნიკა, რაზეც მუშაობა უკვე დაიწყო უნივერსიტეტმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ნინო ქიმერიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. აღნიშნა რომ კითხვების არსებობის შემთხვევაში მზად არის უპასუხოს.
ლევან საბაური მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ მათ ყველა რეკომენდაცია სრულად გაითვალისწინეს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:24 სთ
დასრულების დრო: 15:28 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშების ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება : აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ''ეკონომიკის '' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშების ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება : აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ''ეკონომიკის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

4 საკითხი. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	18.01.2022 №38060
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა Economics 0311.1.1 ეკონომიკა Economics
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0175, მ. თბილისი, მ. კოსტავას ქ.#77, კორპ.#6
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

5 საკითხი . სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	18.01.2022 № 8061
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა Economics 0311.1.1 ეკონომიკა Economics
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0175, მ. თბილისი, მ. კოსტავას ქ.#77, კორპ.#6
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა მარინა მაისურაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ.

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე და მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი არ ესწრებოდა სხდომას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დავით მახვილაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ ბაკალავრიატის პროგრამაზე 7 რეკომენდაცია იყო გაცემული და 10 რჩევა. ექსპერტის მხრიდან შვიდივე რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვალა ასევე რჩევებიც. რეკომენდაციები კი ეხებოდა შრომის ბაზრის კვლევის საკითხებს, ასევე რიგ სასწავლო კურსებს როგორც მათი სწავლის შედეგებზე გასვლის, ისე კურუკულუმში რუქის დაზუსტების ნაწილს. ლიტერატურის დამატების და განახლების ნაწილშიც ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.
რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამას აღნიშნა, რომ მოცემული იყო 5 რეკომენდაცია და 11 რჩევა. ამ შემთხვევაშიც ექსპერტის თქმით ყველა რეკომენდაცია და რჩევების უმრავლესობა შესრულებულია. ზოგიერთი განგრძობად რეჟიმშია და შესრულებულად ჩაეთვალათ. აღნიშნა, რომ სამაგისტრო პრაქტიკა საბჭოს გადაწყვეტილებით მნიშვნელოვან კომპონენტად ჩაითვალა, რაც სავალდებულო კომპონენტად აქციეს პროგრამაში. გარკვეულ სასწავლო კურსებში დაზუსტდა თემატიკა სწავლის შედეგებთან მიმართებით. განახლდა ლიტერატურაც, ასევე საუბარი იყო სამეცნიერო ხელმძღვანელებს ყურადღება გაემახვილებინათ სამაგისტრო ნაშრომებზე. ეს რეკომენდაციებიც დაწესებულებამ სრულყოფილად შეასრულა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:33 სთ
დასრულების დრო: 15:37 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშების ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება : აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ‘’ეკონომიკის ‘’ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშების ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება : აკრედიტაციის დებულების 276 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 211 პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ‘’ეკონომიკის ‘’ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

6 საკითხი. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 17 დეკემბერი, N1384073
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ., N 77, თბილისი, 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა მარინა მაისურაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ.
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ეკა ლეკაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ანგარიშის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ დიდი სამუშაოა გაწეული უნივერსიტეტის მხრიდან. ექსპერტების და აკრედიტაციის საბჭოს მიერ წარმოდგენილია 11 რეკომენდაცია და 6

რჩევა. 11 რეკომენდაციიდან სრულად შესრულდა 2.2 , 2.3 , 2.4 , 2,5 და 2,6 ქვესტანდარტში გაცემული რეკომენდაციები. მეტწილი შესაბამისობა იყო მე-2 სტანდარტთან მიმართებით. ხოლო მეტწილად შესრულდა 3.2; 4.1, 4.4 ქვესტანდარტში გაცემული რეკომენდაციები. უნივერსიტეტმა 8 რჩევიდან გაითვალისწინა 6.

ექსპერტმა აქცენტი გააკეთა შემდეგ რეკომენდაციაზე- რეკომენდებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება და სადოქტორო ნაშრომების გაფორმების წესების სრულყოფილად დაცვა. ექსპერტები გაეცნენ წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომებს, ძირითადად წესები დაცულია მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მუშაობა გააგრძელოს ინსტიტუციამ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებით.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, რომელიც ეხება სტუდენტთა მიღწევებს და მათთან ინდივიდუალურ მუშაობას, შემდეგი რეკომენდაცია იყო მოცემული- რეკომენდებულია სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს დოქტორანტის სამეცნიერო თემატიკის შერჩევა. ანგარიშში კი კითხულობენ, რომ ეს პროცესი არის შემდეგი სახით და გულისხმობს სადისერტაციო თემატიკის განხილვას და დეპარტამენტში დამტკიცებას, თუმცა ეს კონკრეტული პროცედურული ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტებში ვერ მოიძიეს, ამიტომ ფიქრობენ რომ ეს წესი უნდა დაკონკრეტდეს და ფორმულირდეს შესაბამის დოკუმენტებში. ამიტომ ეს რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.

შემდეგი რეკომენდაცია ეხება აკადემიური პერსონალისთვის წაყენებულ მოთხოვნებში აისახოს Scopus-ში და Web of Science -ის ბაზებში ინდექსირებულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებსა და/ან კონფერენციათა მასალებში ნაშრომის გამოქვეყნების ვალდებულება. ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ ამ ტიპის მოთხოვნები წარედგინება აკადემიურ პერსონალს თუმცა ჩამონათვალში დაკონკრეტებული არ არის კონკრეტულად Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზების ჟურნალებზე აქცენტირება. ჩამონათვალში მითითებულია, როგორც მაღალ რეიტინგული ასევე რეფერირებადი და ა.შ. რაც აკადემიურ პერსონალს აძლევს არჩევანის საშულებას ერთ წელიწადში ერთხელ ან ორ წელიწადში ერთხელ კონკრეტულ მაღალ რეიტინგულ ჟურნალში გამოაქვეყნოს. ამიტომ ფიქრობენ, რომ ამ მიმართულებით მუშაობა ისევ გასაგრძელებელია, მაგრამ აქვე დადასტურდა რომ აკადემიური პერსონალი აქვეყნებს ამ ტიპის ბაზებში არსებულ ჟურნალებში სტატიებს და საკონფერენციო მოხსენებებს, თუმცა როგორც სავალდებულო სახით ეს არ არის ჩაწერილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დავით მახვილაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს ობიექტური შეფასებისთვის. აღნიშნა, რომ 11 რეკომენდაციიდან 7 სრულად ჩაეთვალათ ისევე როგორც რჩევების ნაწილი. ყურადღება გაამახვილა შემდეგ რეკომენდაციებზე: რეკომენდაცია რომელიც ეხებოდა უცხოენოვანი წყაროების ინტეგრირებას სამეცნიერო ნაშრომებში აბსოლუტურად ეთანხმებიან ექსპერტის მითითებას, რომ უნდა გაგრძელდეს ამ მიმართულებით მუშაობა, თუმცა მიაჩნიათ, რომ გადადგმული ნაბიჯები ამ მიმართულებით ადასტურებს, რომ ეს წყაროები ინტეგრირებულია და დაცულია გაფორმების წესები.

რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, რომელიც ეხება დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომში ხელმძღვანელის როლს, ამ რეკომენდაციის გაცემისას იყო კონკრეტული მიზანი. კერძოდ, ის რომ სამეცნიერო ხელმძღვანელები თანამონაწილენი ყოფილიყვნენ ამ პროცესის. აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში აბსოლუტურად შეიცვალა დოქტორანტურის პროგრამა. ისინი პიროვნებებთან მიმართებაში სისტემას ვერ აწყობენ, ისევე როგორც ერთი პიროვნებიდან გამომდინარე სტატუსთან მიმართებით. ასე რომ, ამ პროცესში სამეცნიერო ხელმძღვანელების სავალდებულო თანამონაწილეობა აკადემიური დეპარტამენტის დონეზე დადგინდა. მანამ სანამ ფაკულტეტის საბჭოზე გავა საკითხი თემების შერჩევასთან მიმართებაში, სანამ

პრაქტიკულად თემა მივა დოქტორანტამდე, აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა არის საჭირო. ეს არის დოქტორანტურის დებულების განახლებული მეოთხე მუხლი. მიზანი თავიდან ბოლომდე შესრულებულია, მხოლოდ ის ფორმალური ნაწილი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ მოხდეს შერჩევა ვერ შეასრულებდნენ სიტყვასიტყვითი გაგებით იმიტომ, რომ საბოლოო ჯამში ეს გადის ფაკულტეტის საბჭოზე ხოლო შემდეგ აკადემიურ საბჭოზე.

შემდეგი რეკომენდაცია რომელიც Scopus-ში და Web of Science -ის ბაზებში ინდექსირებულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებსა და კონფერენციათა მასალებში ნაშრომის გამოქვეყნებას ითვალისწინებდა აღნიშნა, რომ ამ მიმართულებითაც ჰქონდა კონკრეტული მიზანი. ეს მითითება სავალდებულო შესასრულებლად საბჭომ იქიდან გამომდინარე მისცა, რომ რაოდენობრივ მაჩვენებლებში იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა არ იყო თანაფარდობაში. ეს რეკომენდაცია ეხებოდა არა მარტო ამ პროგრამას, არამედ სხვა პროგრამებსაც, შესაბამისად, დაწესებულებას აკადემიურ პერსონალს საკონტრაქტო ვალდებულებად აქვს არჩევის ვადაში შეასრულოს თავისი სამეცნიერო საქმიანობა კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. თუმცა პირდაპირი მითითება, რომ ეს იყოს მხოლოდ Scopus-ში და Web of Science -ის ბაზებში ინდექსირებულ საერთაშორისო ჟურნალში ასეთი ვალდებულება არ აქვთ. მათ აქვთ მაღალრეიტინგული, რეფერირებადი, რეცენზირებული ჟურნალები მოცემული. ამას თან დაერთო 68 დეპარტამენტთან და მათ შორის 6 საინჟინრო დეპარტამენტთან ჩატარებული ორ დღიანი ვორქშოფები ხარისხის სამსახურის მიერ. შესაბამისად, პროფესორები ამ გამოცემებშიც აქვეყნებენ თავის სამეცნიერო ნაშრომებს. თუმცა პირდაპირ მითითებას ვერ აკეთებენ, მყარი არგუმენტები დადეს მათმა პერსონალმა, სოციალურ მეცნიერებეში მაღალი რეიტინგის მქონე კრებულები არის, რომელიც არ არის ინდექსირებული Scopus-ში და Web of Science -ის ბაზებში.

ბოლო რეკომენდაციაც მეტწილ შესაბამისობაში იყო, ვინაიდან სიტყვასიტყვითი თანხვედრა არ მოხდა ფინანსურ დოკუმენტებში იმ სიტყვების ასახვისა, რაც დოქტორანტების კვლევის დაფინანსებას გულისხმობდა. თუმცა ორი მუხლია გათვალისწინებული ფაკულტეტის ბიუჯეტში, საუნივერსიტეტო ბიუჯეტში და პროგრამის ბიუჯეტშიც, რომლიდანაც ხდება კვლევების მხარდაჭერა. მათაგან ერთი მუხლით უშუალოდ კონფერენციებში მონაწილეობა, კონკრეტული სამუშაო შეხვედრების დიალოგების წარმართვის ნაწილით, ხოლო მეორე კუთხით უშუალოდ გამოცემის დაფინანსების ნაწილში. უბრალოდ მუხლის სახელწოდებასთან სიტყვასიტყვითი თანხვედრა არ არის, მუხლი არ არის ფორმულირებული როგორც დოქტორანტების კვლევისთვის საჭირო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

ნათია ზედგენიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი კითხვა ბიუჯეტთან დაკავშირებით. სადაც ექსპერტი წერს, რომ მეტწილად არის შესაბამისი თუმცა ამავდროულად აღნიშნავს, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტიდან ხუთი ათასი ლარი არის განსაზღვრული და გამოყოფილი დოქტორანტების კვლევების მხარდასაჭერად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში მათი რეკომენდაცია ეხებოდა იმ საკითხს, რომ პროგრამის ბიუჯეტში აისახოს დოქტორანტების კვლევების მხარდასაჭერად საჭირო დაფინანსება. აქ საუბარია სხვა ხარჯების ნაწილზე, არის ფაკულტეტის ბიუჯეტის 0,7, საიდანაც ვერ იკითხება უშუალოდ კონკრეტულ პროგრამაზე რამდენია გამოყოფილი, შესაბამისად დოქტორანტის კვლევაზე გამოყოფილი სხვა ხარჯების ნაწილშიც ხუთი ათასი ლარის ფარგლებში ვერ დავკონკრეტდებით კვლევაზე რამდენი იქნება გამოყოფილი. აქედან გამომდინარე იყო ბუნდოვანება.

დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ მხოლოდ ხუთი ათასი ლარით არ განისაზღვრება ფაკულტეტის კვლევების მხარდაჭერის ნაწილი. პირველ ეტაპზე ბიუჯეტის საწყისი ვერსია, რომელიც დამტკიცდა 50 000 ლარით, მიემართება ამ მიმართულების უზრუნველყოფას. პარალელურ რეჟიმში გაზრდილია დოქტორანტების სწავლის გადასახადი. აქედან გამომდინარე, პროგრამის შემოსავლებიდან ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ

დოქტორანტს ჰქონოდა მისივე გადასახდელის მისივე გადახდილით ფინანსური მხარდაჭერა. როგორც ფინანსისტები ამბობენ ის ჩარჩოები სსიპ -თან მიმართებაში არსებობს, ანუ მუხლობრივი განაწილება დაფინანსებისა სწორედ ამ ტერმინოლოგიის დონეზე არის გადანაწილებული.
ნათია ზედგენიძემ დააზუსტა 50 000 ლარი კონკრეტულად ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე დოქტორანტების მხარდასაჭერად არის გამოყოფილი თუ ტექნიკურ უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების მხარდასაჭერად.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში, კონკრეტულად ამ პროგრამაზე დოქტორანტის საჭიროება ფიქსირდება განაცხადით, შემდეგ პროცესი იწყება აკადემიური დეპარტამენტიდან, საბჭო იღებს დადებით გადაწყვეტილებას თუ არგუმენტირებულადაა წარმოდგენილი ეს პროცესი და შესაბამისად, გამოიყოფა თანხები.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:59 სთ
დასრულების დრო: 16:07 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

7 საკითხი. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მოდის დიზაინის ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	24.12.2021, N1415429
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიზაინის ბაკალავრი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი - 0212
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0171, თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 68
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა მარინა მაისურაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ.
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
მაია გრძელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ ამ პროგრამამ ერთი წლის წინ მიიღო 7 წლიანი აკრედიტაცია, მეორე სტანდარტში იყო მეტწილი შესაბამისობა. გაცემული იყო 5 რეკომენდაცია. შესაბამისად წარმოდგენილი იქნა ანგარიში თავისი დამადასტურებელი დოკუმენტებით. სულ გაიცა 19 რჩევა, რომლის შესრულებაც ინსტიტუციამ მომენტალურად დაიწყო.
პირველი რეკომენდაცია ეს იყო 1-ელ სტანდარტთან მიმართებით, კერძოდ, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა მიეთითოს შეფასების ინდიკატორები და შეფასების ინსტრუმენტები, რაც გათვალისწინებულია დოკუმენტში „არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტში. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ რეკომენდაცია სრულად არის შესრულებული. დაწესებულებას რეკომენდაციასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დოკუმენტში „პროგრამის სწავლის შედეგები, მათი შეფასების ინდიკატორები და ინსტრუმენტები” მითითებული აქვს შეფასების ინდიკატორები, სასწავლო კურსები, რომლითაც ფასდება სწავლის შედეგის მიღწევა და შეფასების ინსტრუმენტები. ამავე დოკუმენტში მოცემულია თითოეული სწავლის შედეგისათვის განმავითარებელი სასწავლო კურსები განვითარების დონის ჩვენებით, რომელთა თანმიმდევრობა პროგრამაში ვითარდება

მარტივიდან რთულისაკენ, რაც დოკუმენტაციაში სრულად არის წარმოდგენილი. შესაბამისად რეკომენდაცია სრულად შესრულებულია.
მე-2 რეკომენდაცია ეხებოდა სწავლების მეთოდოლოგიას და ორგანიზებას, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობათან. რეკომენდაცია ფორმულირებულია შემდეგნაირად: სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები და რიგი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ლიტერატურა. ანალოგიური იყო მესამე რეკომენდაციაც. იქაც სასწავლო კურსი იყო მითითებული შესაბამისი ლიტერატურით.
ლიტერატურა, რომელიც უნდა დამატებულიყო, რეალურად მათ წიგნად ფონდში აქვთ ელექტრონული სახითაც და მატერიალური სახითაც. ანგარიშში თანდართული დოკუმენტით დასტურდება, რომ ეს რეკომენდაცია სრულად არის შესრულებული მითითებულია ეს ლიტერატურა. ამავდროულად განახლებულიცაა. კერძოდ დამხმარე ლიტერატურაში მათ შესაბამისი ლიტერატურა აქვთ შემოტანილი. შესაბამისად, გაიცა დასკვნა, რომ რეკომენდაცია შესრულდა სრულად.
შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა: რეკომენდებულია, დაზუსტდეს რიგ სასწავლო კურსებში შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები კურსის შინაარსთან მიმართებით.
ანგარიშზე თანდართული სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლით დასტურდება, რომ რიგი სასწავლო კურსების: „ტექსტილის ნაკეთობათა მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების მეთოდები“, „ტექსტილის მასალათმცოდნეობა“ და „ტექსტილის ნაწარმის მხატვრულ - ინჟინრული დაგეგმარების ინტეგრაცია“ სილაბუსებში დაზუსტებულია შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. რეკომენდაციის შესაბამისად მოდიფიცირებული სილაბუსების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ რეკომენდაცია შესრულდა სრულად.
რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, ეს ეხებოდა უცხოეთის უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან ფორმალიზებას.
ანგარიშზე თანდართულ დოკუმენტში „შედარებითი ანალიზი ბაკალავრიატი - მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“, გაკეთებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების“ სასწავლო კურსების სრული სია და მათი შესაბამისობა შემდეგი უცხოური უნივერსიტეტების მაპროფილებელ პროგრამებთან: დანიის, ესპანეთის, გერმანიის, კანადის, იტალიის უნივერსიტეტებთან და დეტალურად არის გაწერილი რა ნაწილში გაკეთდა ეს შედარება, რამდენი პროცენტია მსგავსება. ასევე გაკეთებულია სასწავლო კურსების შედარება. აღნიშნული დოკუმენტაციით დეტალურად შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ რეკომენდაცია შესრულდა სრულად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დავით მახვილაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის. ღნიშნა, რომ ხუთივე რეკომენდაცია იყო კონკრეტული და მიზანმიმართული და ყველა მათგანი გაითვალისწინა ფაკულტეტმა .
ნინო იმნაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა მსგავსი შეფასებისთვის ყველას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
ბატონმა გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა, დადარების დოკუმენტთან დაკავშირებით. რომელიმე პრაქტიკა გამოიყენეს თუ არა.
ხარისხის სამსახურის უფროსი ნინო ხაბეიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ მათ საფუძვლიანად შეისწავლეს სხვადასხვა პროგრამები და კონკრეტული სასწავლო კურსის დონეზეც კი მოხდა ცვლილების შეტანა სწორედ ამ ანალიზის დოკუმენტზე დაყრდნობით. აქვთ შემდეგი კურსი - ტექსტილის ნაწარმის ინჟინრული დაგეგმარების

ინტეგრაცია, ასევე ტყავის ნაწარმის ფეხსაცმლის მხატვრულ-ინჟინრული დაგეგმარების ინტეგრაცია და ამ ორივე სასწავლო კურსში გათვალისწინებული იქნა მაკრო მედიის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის გამოცდილება იმის შესახებ, რომ იქ კეთდებოდა ინტერდისციპლინალური პროექტი. დაწესებულებამ სილაბუსში შეიტანა სწორედ ეს პროცესი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16 :17 სთ

დასრულების დრო: 16:18 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება : აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

8 საკითხი. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება N1261876
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50

14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N 25
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ეკა ლეკაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან მიმართებით იყო წარმოდგენილი სრული შესაბამისობით, თუმცა იყო 4 რეკომენდაცია გაწერილი და ასევე 9 რჩევა. ღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების საფუძველზე შეისწავლეს რეკომენდაციების ნაწილი და დადგინდა, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციებიდან შესრულდა 1-ლი რეკომენდაცია. მე-2 და მე-3 რეკომენდაცია მეტწილად არის შესრულებული, ხოლო მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვერ ხერხდებოდა შეფასება, თუმცა გაეცნენ სხდომის ოქმებს, ექსპერტთა ანგარიშებს და დასკვნებს. ესაბამისად, აღნიშნული საკითხი ეჭვის ქვეშ არ დამდგარა. ჩათვალეს, რომ ეს რეკომედაციაც შესრულებულია.
ახლა კი რაც შეეხება იმ რეკომენდაციებს, რომლებიც მეტწილ შესამისობაშია, ეს იყო პირველი სტანდარტის 1.5 სასწავლო კურსი/საგანი, სადაც რეკომენდაცია შემდეგ სახით იყო გაცემული: რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში სახელწოდება, შინაარსი და სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში ერთმანეთთან, სწავლების საფეხურთან და დაზუსტდეს სავალდებულო ლიტერატურა (მაგ. მეცნიერების მენეჯმენტი, აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები).
შესაფასებლად წარმოდგენილ ანგარიშს ახლავს გადამუშავებული სილაბუსები, მათ შორის რეკომენდაციაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები. სასწავლო კურსის ,,ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი“ სახელწოდებაში ცვლილება შევიდა, რადგან სასწავლო თემატიკა ემსახურება SPSS პროგრამის გამოყენებას ეკონომიკური კვლევის პროცესში. გადაისინჯა და განახლდა სავალდებულო ლიტერატურა. შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ კურსის სახელწოდებაში შესული ცვლილებების მიუხედავად, სწავლის მიზნებსა და შედეგებში არ არის ხაზგასმა კონკრეტულად SPSS პროგრამის შესწავლის და გამოყენების შესაძლებლობებზე.
რაც შეეხება სასწავლო კურსს ,,აკადემიური წერა“ - ბოლო თემის სახით წარმოდგენილ იქნა კვლევის შედეგების პრეზენტაციის და არგუმენტირებულად დაცვის და სამეცნიერო დისკუსიის წარმართვის საკითხები. ასევე, განახლდა ლიტერატურა, თუმცა, მოდიფიცირებას

საჭიროებს სწავლის შედეგი ,, პატივს ცემს დამოუკიდებლად მუშაობის სურვილს“, რომელიც არ არის გაზომვადი. სასწავლო კურსის ,,მეცნიერების მენეჯმენტი“ კორექტირება განხორციელდა თემების, შედეგების მიღწევის შეფასების, სასწავლო კურსის მიზნის, შინაარსის და სწავლის შედეგების შესაბამისობის ასპექტებით. რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.
მე-2 რეკომენდაცია, რომელიც ასევე მეტწილად შესრულდა ეხება 2.2 ქვესტანდარტს . კერძოდ, რეკომენდირებულია დოქტორანტმა მინიმუმ ერთი სტატია გამოაქვეყნოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში Scopus და Web of Science -ში ინდექსირებულ ჟურნალში.
ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭომ განსაზღვრა რეცენზირებადი/რეფერირებადი სამეცნიერო გამოცემების ჩამონათვალი, სადაც დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს ერთი სამეცნიერო ნაშრომი. ანგარიში და თანდართული ინფორმაციის შეფასებით დგინდება, რომ მოცემული ჩამონათვალი სტუდენტს აძლევს არჩევანის შესაძლებლობას და შეიძლება ისეთი არჩევანი გააკეთოს და სტატია ისეთ ჟურნალში დაბეჭდოს, რომელიც იმპაქტ-ფაქტორიანი გამოცემა არ არის. ესაბამისად, რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.
რაც შეეხება მე-5 სტანდარტს, აქ იმ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იმსჯელეს, რაც ჰქონდათ ექსპერტების მიერ წარმოდგენილ დასკვნაში და ასევე ოქმის საფუძველზე, რომელიც აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმის და გადაწყვეტილების სახით არის მოცემული. პროგრამის აკრედიტაციის დასკვნაში მოცემული ინფორმაციიდან თუ ვიმსჯელებთ, უნივერსიტეტში შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების პრობლემატურობის საკითხი არ დამდგარა. ამასთან, პროგრამას მიღებული აქვს აკრედიტაცია. ესაბამისად, ჩათვალეს რომ რეკომენდაცია არის შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებბის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თამარ ტუფინაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ ისინი ცდილობენ თითოეული პროგრამის რეკომენდაციაზე გათვალისწინების დროს გაითვალისწინონ არა მხოლოდ ის რეკომენდაციები, რომელიც გაცემულია არა მხოლოდ აღნიშნული პროგრამის მიმართ, არამედ სხვა ანალოგიური იგივე საფეხურის პროგრამის მიმართ. აღნიშნულ სადოქტორო პროგრამაზე ექსპერტთა დასკვნაში ვერ ნახავენ, რომ ექსპერტებს გამოეთქვათ რეკომენდაცია იმის თაობაზე რომ კვლევის მეთოდების შინაარსი შესაბამისობაში არ არის პროგრამის მიზნებთან ან შედეგებთან, რეკომენდაცია გამოთქვა მხოლოდ და მხოლოდ რომ ეს იქნა გაზიარებული შინაარსის ასახვაზე ამ სასწავლო კურსის დასახელებაში, რაც დაწესებულების მიერ იქნა შესრულებული.
რაც შეეხება აკადემიურ წერას, აღნიშნა, რომ არჩევითი სასწავლო კურსია. რეკომენდაცია რომლის იგივე დასკვნის 2.3 ქვესტანდარტში ნახვა შესაძლებელია, აქაც ყურადღება როგორც ექსპერტების ასევე საბჭოს მიერ გამახვილებული იქნა უშუალოდ ბოლო თემაზე და უშუალოდ დაწესებულებამ გაითვალისწინა ეს რეკომენდაცია და ჩაანაცვლეს ეს თემა, რის შედეგადაც დოქტორანტს აქვს იგივე სამეცნიერო ნაშრომის წარმოდგენის, კვლევის შედეგების წარდგენის უნარის გამომუშავების კიდევ ერთი საშუალება.
შემდეგი რეკომენდაციაა ბაზების დაკონკრეტება. სადისერტაციო საბჭომ იმსჯელა ბაზების ჩამონათვალზე. მათ დებულება რეკომენდაციების შესრულებაზე არ აქვთ წარმოდგენილი, რომელიც დამტკიცდა 2021 წელს აკრედიტაციის პერიოდში. დებულება არეგულირებს, რომ სტუდენტმა უნდა გამოსცენ 4 სამეცნიერო ნაშრომი რეფერირებად, რეცენზირებად ჟურნალში და ერთი აუცილებლად უნდა იყოს იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო ჟურნალში. ამას არეგულირებს დებულების 27.3 პუნქტი. სწორედ ამიტომ იყო ამ ორ რეკომენდაციასთან მეტწილად შესაბამისი და არა სრულად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
მამუკა ხუსკივაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. დასვა შეკითხვა 1.5 სტანდარტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით. კვლევის საგანი და მეთოდები.

დასკვნაში აღნიშნულია, რომ შევიდა ცვლილება და აღარ არის აქცენტი გაკეთებული SPPS პროგრამაზე, რა პროგრამაა მაშინ. დოქტორანტურაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების კვლევაზეა მიძღვნილი ყველაფერი და ხომ არ შეცვალეს SPPS. კვლევის მეთოდებში არ ჩანს რა პროგრამა ისწავლება.
ექსპერტმა უპასუხა, რომ პირიქით აქ SPPS არის თემატიკის მიხედვით. არ არის წარმოდგენილი მიზნებში და დასახელებაში, რომ ეს კვლევის მეთოდები ,,ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი" SPPS-ში უნდა მიეთითოს აუცილებლად. სხვა შემთხვევაში შესაძლოა სხვა პროგრამებიც ვიგულისხმოთ.
თამუნა ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ სათაურში ასახეს და ვინაიდან მაშინ არ ჰქონდათ რეკომენდაციის ის ნაწილი, რომ მიზნები და შედეგები ერთმანეთთან ასასახია. ამიტომ ეს არ გაუთვალისწინებიათ, რეკომენდაციის შესაბამისად კი ასახეს სათაურში.
საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ დააზუსტა რომ სათაურში ნამდვილად ასახულია SPPS, სილაბუსს გაეცნო და 70-80% დღის ბოლოს მიმდინარეობს გარკვეული სავარჯიშოები, სადაც SPPS გამოყენებას ასწავლიან სტუდენტებს უკვე პრაქტიკულად . თვითონ, როგორც გაიგო რეკომენდაციაში ნათქვამი იყო თვითონ სასწავლო კურსის სათაური, მიზანი და შედეგები უნდა ყოფილიყო შესაბამისობაში. ქალბატონი თამუნას განმარტებიდან კი გაიგო, რომ ეს უნდა ყოფილიყო არა კონკრეტული კურსის შედეგებთან და მიზანთან შესაბამისობაში არამედ პროგრამის. ამიტომ ითხოვა ამის განმარტება.
რაზეც თამუნა ტუფინაშვილმა უპასუხა, რომ მათი დასკვნა ატვირთულია და თუ ნახავენ პროგრამაზე გაცემულ რეკომენდაციას და ასევე თუ გაეცნობიან დასკვნის ოქმს, ნახავენ რომ ეს რეკომენდაცია მხოლოდ და მხოლოდ სათაურზეა გამახვილებული. აქ რადგანაც სასწავლო კურსები გაერთიანდა, ცალკე რეკომენდაცია იყო აკადემიურ წერაზე, ცალკე რეკომენდაცია იყო კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით. ასევე ცალკე რეკომენდაცია აქვთ კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით და ცალკე აკადემიურ წერაში, მაგრამ ვინაიდან გადაწყვეტილებაში ეს ყველაფერი ერთად გაერთიანდა, ერთად არის მოცემული. ღნიშნულის გადამოწმებაც მარტივია.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:46 სთ
დასრულების დრო: 16: 48 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება : აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

9 საკითხი. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1		

	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	06.12.2021, გადაწყვეტილება №1315324
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები Sociology and Cultural Studies
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ირინე ებრალიძემ და მარინა მაისურაძემ.
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი აღნიშნულ სხდომას არ ესწრებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
პროგრამის ხელმძღვანელი ემზარ ჯგერენაია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. აღნიშნა, რომ მათ გაითვალისწინეს ყველა რეკომენდაცია. ზოგიერთი რეკომენდაცია კი ძალიან სწრაფად გაითვალისწინეს და განახლებული პროგრამით აგრძელებენ მუშაობას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
ერმილე მესხია მიესალმა დამწრე საზოგადოებას, აღნიშნა რომ ერთ-ერთ რეკომენდაციაში მითითებულია პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით პროგრამაში ჩართული, პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ექსპერტის დასკვნაში მითითებულია, რომ წარმოდგენილი ანგარიშით უნივერისტეტი ახორციელებს აქტივობებს. მტკიცებულებები ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგები, ერასმუსის პროექტში ჩართულია აკადემიური პერსონალი ერთი ასისტენტ პროფესორი მაია არაბიაშვილი, შემდეგ კი თანდართულია ცენტრის დებულება სილაბუსები და ა.შ.
ითხოვა დაზუსტება, ამ რეკომენდაციის შესრულების მიზნით გარდა მაია არაბიაშვილისა, რამდენი პროგრამის მონაწილე პერსონალია ჩართული ერასმუსის პროექტში და რა აქტოვობები განახორციელა ცენტრმა კონკრეტულად პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა, რომ ის არის მოწვეული ლექტორი, რომელიც მონაწილეობდა ამ პროცესში, თუმცა მის გარდა კიდევ მონაწილეობდნენ მისი კოლეგები. რაც შეეხება ერასმუსის სტატისტიკას, თქვა, რომ მიმდინარე კონკურსები ცხადდება, დაახლოებით საშუალოდ წელიწადში 5-6 აკადემიური პერსონალი იღებს მონაწილეობას და მიდიან ლექციების ჩასატარებლად პარტნიორ უნივერსიტეტებში.
მაკა ლაშხიამ დაამატა, რომ პროფესიული განვითარების ცენტრი ყოველი სემესტრის დასაწყისში სთავაზობს ტრენინგების სიას, რომელიც ეგზავნება როგორც ფაკულტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლების, ასევე პროფესორ-მასწავლებლებს და ისინი შერჩევის გზით ნიშნავენ, რომელი ტრენინგი შეესაბამება მათ მოთხოვნებს და ა.შ. აღნიშნა, რომ სიაში დაახლოებით 20 ტრენინგია ჩამოთვლილი, შემდეგ კი იგეგმება ტრენინგები. ტრენინგს აქვს 3 განრიგი, რათა ლექტორს და თანამშრომელს შეეძლოს სასურველი დროის არჩევა. სემესტრის განმავლობაში ეს ტრენინგები ჩანიშნულია, რომელსაც ესწრება როგორც აკადმიური პერსონალი ასევე მოწვეული პერსონალი და ასევე ადმინისტრაცია. ეს არის მუდმივად განახლებადი პროცესი, სადაც ხდება სერტიფიკატების გადაცემაც. რაც შეეხება ერასმუსის პროგრამებს, ეს სულ ცხადდება. რაც საჯარო ვებ-გვერდზეც იდება.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:55 სთ
დასრულების დრო: 17:05 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება : აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის “ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

10 საკითხი. სსიპ აკაკი წერეთლის სახემწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიის საბაკალავრო, ისტორიის, არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23.09.2011, №48
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ისტორიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ისტორია და არქეოლოგია 0222
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	სასწავლო კორპუსი №1, თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	19.04.2012, №100
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ისტორიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ისტორია და არქეოლოგია 0222
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	სასწავლო კორპუსი №1, თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23.09.2011, №46
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი არქეოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ისტორია და არქეოლოგია 0222
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	სასწავლო კორპუსი №1, თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	9.04.2012, №105
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი არქეოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ისტორია და არქეოლოგია 0222
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	სასწავლო კორპუსი №1, თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეათე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

თეიმურაზ პაპასქირი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა 10-11 იანვარს ისტორია არქეოლოგიის კლასტერში დაჯგუფებულ ოთხ პროგრამაზე. ეს არის ისტორიის და არქეოლოგიის საბაკალავრო, ისტორიის და არქეოლოგიისა და ანტიკური ცივილიზაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები. აღნიშნა, რომ შესაბამისობა ოთხივე პროგრამის ხუთივე სტანდარტში დადგინდა. რაც შეეხება რეკომენდაციებს, კლასტერული რეკომენდაციები არ გაცემულა, რადგან არ ფიქსირდება ხარვეზები პროგრამების შიდა ხარისხის შეფასების თვალსაზრისით. რეკომენდაციები შემდეგნაირად დაჯგუფდა: ისტორიის დამატებითი პროგრამის სასწავლო გეგმა უნდა გადამუშავდეს და დაკომპლექტდეს ძირითად პროგრამაში არსებული სავალდებულო საგნების ბაზაზე. ამასთანავე, სასურველია, რომ მასში შეტანილ იქნას არჩევითობის კომპონენტიც. ასევე, გადაიხედოს და შეიცვალოს სამაგისტრო და საკურსო ნაშრომების შეფასების წესი იმგვარად, რომ შემცირდეს კომისიის წევრების შეფასების ხვედრითი წილი.

რაც შეეხება ისტორიის სამაგისტრო პროგრამას, ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა/თანახელმძღვანელებმა კონსულტაციებისას, მაგისტრანტებს უფრო დეტალურად უნდა აუხსნან სამეცნიერო ნაშრომის წერის ნორმები და ამით უზრუნველყონ მაგისტრანტების მიერ აკადემიური წერის შესაბამისი სტანდარტების და ხარისხის სამაგისტრო ნაშრომების მომზადება.

რაც შეეხება რჩევებს, მან შემდეგი სახე მიიღო სასურველი იქნება, თუ ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში ჩამატებული იქნება რამდენიმე არჩევითი საგანი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაზე (მაგალითად, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორია, თურქეთის ისტორია, ირანის ისტორია, არაბული ქვეყნების ისტორია და ა.შ.), რომლებიც ხელს შეუწყობდა ამ რეგიონის ისტორიით დაინტერესებულ სტუდენტს თავისი ცოდნის გაღრმავებაში.

ასევე, სასურველია, რომ ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში, არჩევითი საგნის სახით, დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი, რათა სტუდენტებმა საბაკალავრო დონეზე დამოუკიდებლად ნაშრომის შესრულების გამოცდილება შეიძინონ. ეს ეხება , როგორც ისტორიის, ასევე არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამას. ასევე გასაახლებელია რამდენიმე სილაბუსი, რადგან ჩასანაცვლებელია ლიტერატურის ნაწილი. სასურველია, გაფართოვდეს შინაარსის თემატიკა არაბული ქვეყნების კუთხით საგანში „ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების უახლესი ისტორია“, სადაც შინაარსში 10 კვირა ეთმობა თურქეთის ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებს. ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში ასევე სასურველია ლიტერატურის განახლება. გარდა ამისა, უმჯობესი იქნება, თუ ლექტორ-მასწავლებლები რუსულ ლიტერატურაში დაცულ კონტენტს თავიანთ რიდერებში მოათავსებენ და ასე მიაწვდიან სტუდენტებს. ასევე სასურველია, ანტიკური არქეოლოგიის სილაბუსის შინაარსში დაემატოს ელინისტური ხანისა და რომაული პერიოდის თემები. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა და უსდ-ს პერსონალმა გააძლიეროს სტუდენტთა ინფორმირება პლაგიატის შემოწმებისა და გამოვლენის წესების შესახებ. სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში ჩანდეს, თუ ამ კვლევიდან გამომდინარე, რა გასაუმჯობესებელი მხარეები გამოიკვეთა, რა გამოცდილება იქნა პროგრამაზე მუშაობისას გაზიარებული და რა კუთხით განაპირობა ამ მოსაზრებებმა პროგრამაში გარკვეული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა. სასურველია, გარე კოლეგიალური შეფასებების დოკუმენტთან დაკავშირებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გასცეს რეკომენდაცია, რომ გარე შემფასებელთა შეფასება იყოს უფრო დეტალური, გამოიკვეთოს გასაუმჯობესებელი მხარეები და გაიცეს უფრო მკაფიო რეკომენდაციები პროგრამასთან დაკავშირებით, რომ დოკუმენტი არ ატარებდეს ზოგად, ზედაპირულ ხასიათს.

ასევე, სასურველია, სტუდენტების კითხვარები წარმოდგენილი იყოს უფრო ინფორმაციულად და სტუდენტებს მიეცეთ უფრო მკაფიო მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება, რათა შესაბამისმა სამსახურებმა იცოდეს სტუდენტების აზრი და შეძლოს თვალყური ადევნოს პროგრესს, რომელიც განხორციელდა სტუდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

თეა კორძაძემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა ექსპერტებს თქვა, რომ არსებული კითხვების შემთხვევაში მზად არის უპასუხოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა ექსპერტს, თქვა რომ რჩევებში საუბარია რამდენიმე არჩევით საგანზე კერძოდ '"აღმოსავლეთ ქვეყნების ისტორიაზე" ერთ კომპონენტად დამატებაზე. დააზუსტა, უნდა იყოს თუ არა აღნიშნული საგანი სავალდებულო.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ აქვთ სავალდებულო საგანი ახლო აღმოსავლეთის უახლესი ისტორია, რაც სწავლის შედეგზე გადის შესაბამისად სტუდენტებს რეგიონთან დაკავშირებით ცოდნა გააჩნიათ. კარგი იქნებოდა ბევრი საგანი იყოს პროგრამაში სავალდებულო სახით, მაგრამ ეს ყოველთვის არ ხერხდება. ამ შემთხვევაში ვინაიდან პროგრამის მიზნებიც და შედეგებიც ერთმანეთთან შესაბამისობაშია, სწავლის შედეგებზე პროგრამა გადის, დარგობრივ მახასიათებელთან დაკავშირებით პროგრამას პრობლემა არ გააჩნია , ეს არის ცალსახად დამატებითი საგანი .

გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა, რჩევაში ნახსენებ პლაგიატთან დაკავშირებით, რა იყო ამის საფუძველი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტისას გაირკვა, რომ სტუდენტების ნაწილი კარგად არ იყო ინფორმირებული ზუსტად რამდენი პროცენტი ითვლებოდა პლაგიატად და ა.შ, არა იმიტომ რომ მათ ამას არ აცნობდნენ, არამედ იმიტომ კურსდამთავრებულების ნაწილმა დაამთავრა პანდემიის პერიოდში და შესაძლოა ესეც იყოს მიზეზი.

გურანდა ჭელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, პირველი კითხვა დასვა რეკომენდაცია 3.2.2 ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა/თანახელმძღვანელებმა კონსულტაციებისას მაგისტრანტებს უფრო დეტალურად უნდა აუხსნან სამეცნიერო ნაშრომის წერის ნორმები, დაკავშირებით.

დასვა დამაზუსტებელი კითხვა. ამას ყველანი აკეთებენ ბაკალავრებთან ან მაგისტრანტებთან მუშაობისას, თუმცა როგორ უნდა გაზომონ შემდგომში, როდესაც დაიდება შედეგი სამაგისტრო ნაშრომის აკადემიური წერის ნორმებით მომზადების თვალსაზრისით, რამ ითამაშა აქ როლი სასწავლო კურსის გასვლამ შედეგზე თუ ხელმძღვანელის მიერ ჩატარებულმა სამუშაომ, ამიტომ ეს უკავშირდება გაზომვადობის პრობლემას, აქედან გამომდინარე თვლის, რომ ეს რეკომენდაცია სხვა კუთხით უნდა დაენახათ. ხომ არ ფიქრობს ექსპერტთა ჯგუფი, რომ შეფასების რუბრიკები და რიგი კომპონენტები რომელიც მოცემულია სამაგისტრო სასწავლო კურსების სილაბუსებში ნაკლებად უზრუნველყოფს აკადემიური წერითი უნარების განვითარებას მაგისტრანტებში. ეს ფორმატი პროგრამაში ინტეგრირებული არ არის და ძირითადად არის ზეპირი გამოკითხვა და ზეპირი დებატები. ითხოვა კომენტარის გაკეთება თუ რამდენად შეესაბამება შეფასების კომპონენტები სამაგისტრო პროგრამას.

რაც შეეხება, აღმოსავლეთ ქვეყნების ისტორიას, იზიარებს ნაწილობრივ რომ პროგრამა გადის შედეგებზე, თუმცა ის კურსები, რომელიც წარმოდგენილია ამ პროგრამაში ერთთან მიმართებაში არის მიცემული რჩევა, რომელზეც ფიქრობს რომ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. მეორე კურსი ეს არის აზიის ახალი და უახლესი კურსი ფიქრობს, რომ თავისი სასწავლო ლიტერატურით და შინაარსით ვერ უზრუნველყოფს იმ შედეგზე გასვლას, რაც სასწავლო კურს უწერია. დასკვნაში ექსპერტები წერენ, რომ სასწავლო შედეგები შეესაბამება პროგრამის შედეგებს, თუმცა ქალბატონ გურანდას ამ მიმართულებით უჩნდება კითხვა

რამდენად გადის სასწავლო კურსი შედეგზე როდესაც მთელ რიგ სასწავლო კურსებთან მიმართებით აძლევენ რჩევას განახლდეს შინაარსობრივი ნაწილი და ლიტერატურა.
შემდეგი კითხვა ეხება, პლაგიატის ნაწილს, აღნიშნა რომ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დოკუმენტში და სილაბუსში პირდაპირ წერია, რომ სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა პლაგიატის შესახებ. დასვა კითხვა რას ნიშნავს ცნობის წარმოდგენა, საიდან იღებს სტუდენტი ამ ცნობას. ეს არის ფარატინა ქაღალდი თუ სტუდენტს აქვს წვდომა მის ნაშრომზე სადაც შეიძლება დაინახოს ის ხარვეზი, რომელიც მას პროგრამამ აღმოუჩინა პლაგიატთან მიმართებით.
შემდეგი თემა შეეხება ყველა პროგრამაში წინაპირობის არქონას. ექსპერტების დასკვნაში წერია, რომ არ აქვს განსაზღვრული წინაპირობა, სამაგიეროდ მითითებულია კონკრეტული სემესტრები, როდის უნდა იყოს გავლილი კონკრეტული საგნები, რაც შესაბამისად უზრუნველყოს თვალი ვადევნოთ პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესაძლებლობას. თუ პროგრამაში ჩავიხედავთ იქ პირდაპირ დანაწევრებულია მთელი რიგი სასწავლო კურსები დანაწევრებული ცალკეულ ნაწილებად მაგალითად ევროპისა და ამერიკის სასწავლო კურსი, რომელიც პერიოდიზაციასთან მიმართებით გადალაგებას საჭიროებს და არც ამაზეა საუბარი დასკვნაში. დასვა კითხვა რას აკეთებენ იმ შემთხვევაში თუ კი წინაპირობა არ არსებობს, სტუდენტი ვერ გაივლის ის საგანს, რომელიც წინაპირობა უნდა იყოს მომდევნო საგნისთვის და როგორ უნდა მივხვდეთ ზოგადად პროგრამა როგორ გადის შედეგზე. ასევე ხომ არ ფიქრობენ, რომ ოთხივე პროგრამაში წინაპირობებთან დაკავშირებით საჭირო იყო კლასტერული რეკომენდაციის გაცემა .
რაც შეეხება შემდეგ თემას, კოლეგიალური შეფასების დოკუმენტს დასვა კითხვა თუ ნახეს ეს დოკუმენტი ექსპერტებმა, რა ტიპის დოკუმენტია. ამ დოკუმენტზე საუბრობენ დასკვნაში პროგრამასთან მიმართებით, რომ იყოს მეტად მოყვანილი შესაბამისობაში რომ გამოიკვეთოს ასეთი კოლეგიალური შეფასებით პროგრამაში არსებული ხარვეზი და პროგრამის შემდგომ განვითარებას. თვითშეფასების დოკუმენტიდან გამომდინარე გაუჩნდა დამატებითი კითხვა, დაწესებულება საუბრობს რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის შეფასება ხდება აკადემიური პერსონალის დატვირთვის შესრულებით, სტუდენტების გამოკითხვით და ურთიერთდასწრების შედეგების შესახებ. ქალბატონმა გურანდამ ამ დოკუმენტში ვერ ამოიკითხა კონკრეტული კრიტერიუმები, რომელიც გასათვალისწინებელი იქნება. ქალბატონმა გურანდამ დასვა კითხვა შიდა კოლეგიალურს საკითზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიურმა პერსონალმა ზუსტად გაიგოს, რა კრიტერიუმებით ხდება მისი შეფასება, შესაბამისად, რა არის ის ხარვეზი, რაც უნდა გამოასწოროს. იმ დოკუმენტში რაც წარმოდგენილ იქნა დაწესებულების მიერ მსგავსი კრიტერიუმები ვერ ნახა. შესაბამისად, ამ საკითხთან მიმართებითაც ითხოვა დამაზუსტებელი კომენტარი.
ექსპერტმა დაიწყო საუბარი აკადემიურ წერასთან დაკავშირებით და აღნიშნა , რომ ერთ-ერთ სამაგისტრო ნაშრომის დასკვნაში იყო მხატვრული ნაწარმოებიდან მოხმობილი დახასიათება, შესაბამისად ამან გააჩნია ეს რეკომენდაცია, რადგანაც საქართველოს ისტორიის მიმართულება იყო ასეთი რამ დასკვნაში არ უნდა გაიპაროს .
რაც შეეხება შეფასების კომპონენტებს, სამაგისტრო ნაშრომების გარდა, არის სამეცნიერო წერის კურსი, არის ასევე საკურსო ნაშრომი. შესაბამისად საკმარისად არის.
გურანდა ჭელიძემ დასვა დამაზუსტებელი კითხვა, საკურსო ნაშრომთან მიმართებით წერია, რომ ეს არის მოთელვა და მომზადება სტუდენტისა სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად . მიუხედავად ამისა მაინც აქვს სამაგისტრო ნაშრომს ესეთი ხარვეზები?
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს ახალი პროგრამა და სამაგისტრო ნაშრომი ძველი პროგრამით არის შესრულებული. ამ შემთხვევაში საკურსო ნაშრომი როდის დაემატა პროგრამას არც უკითხავთ.
რაც შეეხება ლიტერატურას აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამაში დასახელებული აქვთ სამი კურსი. ამ კურსების დაყოფას პერიოდიზაციის თვალსაზრისით დაეთანხმებიან თუ არა, ეს სადავო საკითხია და ყველას თავისი აზრი აქვს. უშუალოდ ლიტერატურასთან მიმართებით აღნიშნა, რომ არსებობს ლიტერატურა უბრალოდ არის რაღაც ნაწილი დასამატებელი.

მაგალითად, მითითებულია, რომ ლიტერატურა უნდა განახლდეს იმის გამო, რომ თვითონ პროფესორს აქვს ძალიან კარგი რიდერი გაკეთებული, რომელიც თვითონ აქვს მეორე ხარისხოვნად ჩათვლილი და რუსულენოვანი ლიტერატურა ჰქონდა წინ წამოწეული. შესაბამისად ამასთან დაკავშირებით გასცეს შენიშვნა. ლიტერატურა არის, მაგრამ რაღაცები არის დასამატებელი.

წინაპირობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიღებულია რომ საბაკალავრო პროგრამაში საკამოდ ხშირია, რომ ისტორიკოსები წინაპირობებს არ აკეთებენ, რაც განპირობებულია რამდენიმე მიზეზით. ისტორიის პროგრამის საგნებს ძალიან ბევრი სტუდენტი იღებს მაინორად და იღებს კონკრეტულ პერიოდს, და იმ კონკრეტულ პერიოდს თუ ექნება წინაპირობა, მაშინ სასწავლო კურსის არჩევა ვერ მოხერხდება. ამის გამო პროგრამას წინაპირობების გარეშე არ თვლიან ნაკლოვანად.

გურანდა ჭელიძემ დასვა კითხვა თუ ძირითადი პროგრამის სტუდენტი ვერ ძლევა სასწავლო კურსს, ამ შემთხვევაში რა ხდება?

თეა კორძაძემ აღნიშნა, რომ 2018 წლიდან აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი ჩართულია ერასმუსის პროგრამაში - აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისათვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ყველა სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც გადის დაცვაზე, ტარდება პლაგიატის პროგრამაზე, თავდაპირველად ეს კეთდებოდა პროექტის ფარგლებში, შემდეგ უნივერსიტეტმა დაიტოვა ეს გამოცდილება და ახლა ყოველ წელს ყიდულობს პლაგიატის პროგრამას. პირველ ეტაპზე არეგისტრირებენ სტუდენტს მუდლ პლათფორმაზე იქნება ეს საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო. რეფერატი იქნება შესამოწმებელი თუ სხვა, თითოეული სტუდენტის ისტორია ინახება ამ პროგრამაში, რომელსაც აკონტროლებს პროგრამის ხელმძღვანელი. ხარისხის სამსახური აკონტროლებს სემესტრის ბოლოს ყველა ნაშრომის გატარებას და პლუს თანხვედრათა პროცენტულ რაოდენობას.

მერაბ ჭუმბურიძემ სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტებს საქმე ჰქონდათ ერთეულ შემთხვევებთან. იმისათვის რომ ეს ერთეული შემთხვევებიც აღარ იყოს, პროგრამაში შეტანილი იქნა როგორც საკურსო ნაშრომი, ასევე სამეცნიერო წერა. ორივე სამაგისტრო პროგრამაში ისტორიასა და არქეოლოგიაში მრავალფეროვანი აქტივობებია შეთავაზებული სტუდენტებისთვის, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტს გაუღრმავდეს სამეცნიერო წერისა და კვლევის უნარები. მათ შორის არის ისტორიული წყაროს ანალიზი, ძეგლის ანალიზი და ა.შ.

თეა კორძაძემ აღნიშნა, რომ რჩევები რა თქმა უნდა გათვალისწინებული იქნება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ითხოვს ყოველწლიურად ლიტერატურის გადახედვას და განახლებას. მონიტორინგის შედეგად ადგენენ თუ სად რა ლიტერატურაა განსაახლებელი, შეხვედრებსაც ატარებენ როგორც აკადემიურ პერსონალთან, ასევე პროგრამის ხელმძღვანელებთან, რათა მაქსიმალურად მოხდეს ძირითადი ლიტერატურის გადახედვა. ასევე აკეთებენ იმ პროგრამების მონიტორინგს, სადაც არანაირი ცვლილება არ მომხდარა, რის საფუძველზეც უკვე აძლევენ რჩევებს პროგრამის ხელმძღვანელებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ოთხივე პროგრამის აკადემიური პერსონალი მუდმივად მუშაობს ლიტერატურის განახლებაზე, რაშიც ძალიან ეხმარება ბიბლიოთეკა. რუსულენოვანი ლიტერატურის მითითებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ აკადემიური პერსონალი მუდმივად მუშაობს რიდერების შექმნაზე. ოთხივე პროგრამაში აქვთ ჩადებული რიდერები, რომლებიც აბსოლუტურად ახალია რამდენიმე მათგანი სპეციალურად ამ პროგრამისთვის შეიქმნა. აქვე პლაგიატთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინტერვიუზე იყვნენ 2017-2018 წლის კურსდამთავრებულები, პროგრამა ამუშავდა 2018 წლიდან. სავარაუდოდ მათ არ ჰქონდათ პლაგიატის პროგრამა გავლილი და სამაგისტრო ნაშრომები შემოწმებული. ეს ხარვეზები სწორედ აქედან მომდინარეობს. რაც შეეხება მომდევნო წლების სტუდენტებს, მათ ნაშრომებს პლაგიატის პროგრამა გავლილი აქვთ და თავადაც ამოწმებენ.

ექსპერტმა დაადასტურა , რომ მხოლოდ ნაწილს ჰქონდა ამის პრობლემა და არ იციან, რომელი წლის კურსდამთავრებულები იყვნენ.
გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა ერთ-ერთ სამაგისტრო ნაშრომში მითითებულ რუსულენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებით - ეს არის გამოყენებული ლიტერატურა, რაც ციტირების კუთხით არ არის გამოყენებული? ეს არის ბოლო ფურცელზე მითითებული ჩამონათვალი რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომში. გამოყენებული ლიტერატურაც ერთმანეთს ემთხვევა ორ სამაგისტრო ნაშრომში. დასვა კითხვა, როგორ მოწმდება, რომ მითითებული ლიტერატურა სტუდენტმა ნამდვილად გამოიყენა. აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის სახელწოდებაა "იარაღ- საჭურველი ანტიკური ხანის დასავლეთი საქართველოში". დასმულ კითხვასთან დაკავშირებით უპასუხეს, რომ როგორც ჩანს, სტუდენტმა გამოიყენა ეს ლიტერატურა სამაგისტრო ნაშრომში, მაგრამ არსებობს ამ ლიტერატურის ცალკეული მასალები, რომელიც არის შემდეგ ქართულენოვან სამეცნიერო ნაშრომში. შესაძლოა სწორედ ამის გამო მოხვდა, რაც უფრო ტექნიკური საკითხია ვიდრე შინაარსობრივი.
თამარ სირაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, კითხვა დასვა სამაგისტრო პროგრამის შესახებ, რომელშიც მოცემულია, როგორც სამაგისტრო ნაშრომის დაცვა და ასევე საკურსო ნაშრომი. დასვა კითხვა, ხომ არ ხდება ამ ორი ნაშრომის გადაფარვა. სამაგისტრო ნაშრომისთვის თემას როდის ირჩევს და ამტკიცებს სტუდენტი, შემდეგ როგორ ხდება საკურსო ნაშრომის არჩევა.
სულხან კუპრაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა რომ საკურსო ნაშრომის არსებობა ორივე სამაგისტრო პროგრამაში განპირობებულია პრაქტიკით, ისტორიის არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე ხშირ შემთხვევაში მოდიან ისეთი სტუდენტები, რომლებსაც ბაკალავრიატზე არ აქვთ არქეოლოგია ან ისტორია გავლილი. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის არჩევას, ეს ხდება მე-3 სემესტრის დასაწყისში. აქვთ რამდენიმე ვარიანტი მაგისტრანტებისთვის შედგენილი, აქვთ შესაბამის მიმართულებაში თემატიკა შესაბამისი პერიოდის მიხედვით, სტუდენტს ეძლევა საშუალება აირჩიოს თავისი სურვილისამებრ. აქვთ ასევე მეორე ვარიანტი, რომლის მიხედვითაც თვითონ შეუძლია შესთავაზონ მათთვის საინტერესო თემა. დეპარტამენტის სხდომაზე ხდება არჩეული თემატიკის დამტკიცება, რომელსაც მიაწვდიან ფაკულტეტის საბჭოს, საბჭო კი ამტკიცებს ამ თემატიკას.
თამარ სირაძემ დააზუსტა, რომ ჯერ საკურსოს წერს სტუდენტი და შემდეგ ხდება სამაგისტროს არჩევა?
დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ ეს ხდება სხვადასხვა სემესტრებში, საკურსო ნაშრომის სილაბუსში პირდაპირ წერია, რომ ის არ წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის ნაწილს, შესაბამისად, ის არის სხვა თემა უფრო მცირე მოცულობის, მისი ძირითადი ამოცანაა მოამზადოს სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომისთვის.
გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა სამაგისტრო პროგრამაში დამატებით საკურსო ნაშრომის საჭიროებასთან დაკავშირებით. აქვთ თუ არა სხვა საგანი, რომელიც ამას გადაფარავდა, რასთან დაკავშირებითაც უპასუხეს, რომ კვლევის მეთოდებს ასწავლიან. მათ უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასეთი კურსი ისწავლება რამდენიმე წელიწადია, ეს კეთდება იმისთვის, რომ სამაგისტრო ნაშრომი სწორად იქნეს დაწერილი.
გოდერძი ბუჩაშვილმა ექსპერტს დაუსვა კითხვა, ეს მეთოდი რამდენად მისაღებია და აისახა თუ არა ეს სამაგისტრო ნაშრომების ხარისხზე. რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ახალი პროგრამის დამთავრების შემდეგ ნახავენ შედეგს, რადგან აქმდე საკურსო ნაშრომი არ ჰქონდათ დამატებული.
თეა კორძაძემ აღნიშნა, რომ რადგანაც მათთან საბაკალავრო ნაშრომი არ არის ზოგიერთ პროგრამაზე, კურსს ჰქვია საკურსო ნაშრომი, მაგრამ სამაგისტრო დონეზე ყოველთვის აქვთ სტანდარტულად.
რაც შეეხება კვლევის მეთოდიკას, არქეოლოგიაში ეს განსხვავებულია იქ ასწავლიან უშუალოდ საველე მუშაობის კვლევის მეთოდებს, აქ სამეცნიერო ნაშრომის წერა არ ისწავლება, იმისათვის

რომ სტუდენტებს ეს პრობლემა არ ჰქონოდათ ჩასვეს საკურსო ნაშრომი. როდესაც ხდება არქეოლოგიურ პრაქტიკაზე გასვლა და სტუდენტებს ინტერესდებიან გარკვეული თემების მიმართ, ისინი ხელს უწყობენ აიღონ რომელიმე თემა დაამუშაონ, ამ შემთხვევაში არა მხოლოდ საველე მუშაობის არამედ სამეცნიერო წერის უნარებსაც აუმჯობესებენ.
ერმილე მესხია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა რომ არქეოლოგიაში სამაგისტრო პროგრამაში აქვთ პრაქტიკა გაწერილი, დასაქმების სფეროდან გამომდინარე, რაც ჩამოთვლილი აქვთ როგორც ბაკალავრიატზე, ასევე მაგისტრატურაზე. დასვა კითხვა რამდენად სწორად მიაჩნიათ, რომ ისტორიის პროგრამაში არ არის გათვალისწინებული პრაქტიკა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ ნაწილზე მუშაობდა ექსპერტი ემზარ კახიძე და მისთვის ამას პრობლემა არ შეუქმნია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ მათი პროგრამის მთავარი ამოცანა არის მაღალკვალიფიციური არქეოლოგის მომზადება.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ისტორიაში საარქივო საქმეა ჩასმულია, რაც შეიცავს პრაქტიკის ელემენტებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე, საბაკალავრო პროგრამაში ჩაისვა ახალი კურსები, სადაც ჩაშენებულია პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც სტუდენტს ეხმარება არა მარტო თეორიული ცოდნის მიღებაში არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.
ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა რომ, ბაზრის კვლევის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, სავალდებულო საგნად დაემატებინათ საარქივო საქმე, რაც სტუდენტების და დამსაქმებლების მხრიდან იქნა მოწონებული.
გურანდა ჭელიძემ დასვა კითხვა, პროგრამების სწავლების ენასთან დაკავშირებით: პროგრამის სწავლების ენად მითითებულია ქართული და საბაკალავრო პროგრამაში ჩნდება საგანი, რომელსაც ასწავლიან ქართულ ან ინგლისურ ენაზე. დასვა კითხვა როგორ ფიქრობენ რამდენად დაძლევადი იქნება ეს. ასევე დასვა კითხვა დარგობრივ ენასთან დაკავშირებით, უცხო ენების არჩევითობის პრინციპი, რამდენად უზრუნველყოფს ამ საგნის დაძლევას ინგლისურ ენაზე. ასევე ძალიან მოეწონა ექსპედიციების შეთავაზება სტუდენტებისთვის, თუმცა ბიუჯეტის ნაწლში გაუჩნდა კითხვა რამდენად უზრუნველყოფს უნივერსიტეტი ასეთი მრავალფეროვნებით აღნიშნული ექსპედიციების მხარდაჭერას.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტთა აკადემიური კვლევის ანალიზს აკეთებენ ყოველ სემესტრულად, სამი სავალდებულო უცხო ენის საბაკალავრო კურსი აქვთ პროგრამაში. ამ ანალიზების შედეგად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დარგობრივი უცხო ენა შეეტანათ. ხოლო ის საგანზე რომელზედაც ქალბატონი გურანდა საუბრობდა, წარმოდგენილი აქვთ ქართულ ენაზე ეს კონკრეტული საგანი, ვისაც სურს ენობრივი კომპეტენციის გაზრდა აძლევენ საშუალებას იგივე საგანი გაიარონ ინგლისურ ენაზე. ასევე ინგლისურენოვანი კურსები შეიტანეს მაგისტრატურაზეც.
ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ მათ ჰყავთ საერთაშორისო პარტნიორი პოლონეთის, ვარშავის უნივერსიტეტის სახით და მათ ქუთაისში დაარსებული აქვთ ინტერდისციპლინარული კვლევის ცენტრი, ამავდროულად არიან ერთობლივ პროექტებში. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ორი მუზეუმი, ერთი არის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი და მისი აკადემიური პერსონალიც არის ჩართული, დაწესებულებას საშუალება აქვს მუზეუმში ჩაუტარონ სტუდენტებს ლექციები და მიიღონ პრაქტიკული ცოდნა თეორიულთან ერთად. გარდა პროგრამის ბიუჯეტისა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ფაკულტეტი ბიუჯეტით ეხმარება პრაქტიკების დაფინანსებაში. მაგალითად ტექნოლოგიური პრაქტიკა საშუალოდ ფინანსდება სამი ათასი ლარით რაც იძლევა სტუდენტების პრაქტიკაზე, მათ შორის რეგიონებში წაყვანის საშუალებას, უზრუნველყოფილია კვების თანხა და ა.შ. გარდა ამისა, ფაკულტეტის ბიუჯეტიდანაც არის

გათვალისწინებული დაახლოებით 2500-3000 ლარი, მცირე მასშტაბის სამუშაოების ჩასატარებლად. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა პროექტში, რომლებშიც ასევე ყოველთვის რთავენ სტუდენტებს .
ნათია ზედგინიძემ დასვა კითხვა, ისტორიის სამაგისტრო პროგრამაზე არის სამაგისტრო ნაშრომი, ასევე არის საკურსო ნაშრომი, რომლის სილაბუსშიც წერია რომ ის არის კონკრეტული საკითხის დამოუკიდებლად შესწავლა და გარკვეული საკითხის გარშემო თემის წარმოდგენა. ამავდროულად არის სასწავლო სავალდებულო კურსი - ისტორიის კვლევის მეთოდები და კიდევ კურსი - სამეცნიერო აკადემიური წერა. დასვა კითხვა რა მიზანს ემსახურება საკურსო ნაშრომი.
დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ საკურსო ნაშრომი არის ცალკე დამოუკიდებელი კვლევითი პროექტი. ის არ არის სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი. მისი შემოტანა ხდება მაშინ, როდესაც ასწავლიან კვლევის მეთოდებს. იმისათვის რომ სტუდენტმა გამოიყენოს კვლევის მეთოდები, კვლევის მეთოდების სილაბუსში არ არის სამეცნიერო ნაშრომის მომზადების სწავლება. ეს კი ჩასვეს იმიტომ, რომ ის შესწავლილი თეორიული საკითხები სტუდენტმა გამოიყენოს პრაქტიკაში, ვიდრე გადავა სამაგისტრო ნაშრომის წერაზე, რომ ჩამოუყალიბდეს კვლევითი უნარები, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის წერაში დაეხმარება. სწორედ ამით იყო ამ კურსი შემოტანა განპირობებული.
ნათია ზედგენიძემ დააზუსტა კითხვა, თუ საკურსო ნაშრომი ეს არის კვლევითი მეთოდების შესწავლის შემდგომ ცოდნის აპლიკაცია, ანუ პრაქტიკაში კვლევითი მეთოდების გამოყენება და ამის საფუძველზე კვლევის ჩატარება თუ ეს არის სამეცნიერო მიმართულებით სამაგიდო კვლევა, როცა თემას იღებს სტუდენტი და ეცნობა მეცნიერულ მიღწევებს სტატიებს და ა.შ.
დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ საკურსო ნაშრომის შესრულება არ ითვალისწინებს რაიმე კვლევის ჩატარებას. აქ საუბარია თეორიული უნარების გამომუშავებაზე .
ნათია ზედგენიძემ ასევე დასვა კითხვა, კვლევის მეთოდების სასწავლო კურსში რატომ არ მოხდა კურსის დასრულების დროს სტუდენტმა წარმოადგინოს კვლევითი ნაშრომი, რატომ არ მოხდა მისი გაერთიანება ერთ სასწავლო კურსში . რამ განაპირობა ის გადაწყვეტილება, რომ გაიმიჯნა ეს ორი ბლოკი ერთმანეთისგან და ცალ-ცალკე კურსებად არის 5 კრედიტი .
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა , რომ მათ ძირითადად აქვთ 5 კრედიტიანი საგნები იმისათვის, რომ სტუდენტმა გამოიყენოს მიღებული თეორიული ცოდნა და ასახოს ეს პრაქტიკულად წერის უნარებში. ამისთვის ნაკლები დრო რჩებოდა საათობრივი თვალსაზრისით, იმისთვის რომ სამეცნიერო ნაშრომი დაეწერა . საკურსო ნაშრომი გულისხმობს 15-20 გვერდიანი ნაშრომის მომზადებას. გარდა ამისა, აძლევენ სტუდენტებს საშუალებას აირჩიონ მრავალფეროვანი თემატიკა განვლილი სალექციო კურსებიდან.
ნათია ზედგინიძემ დააზუსტა საკითხი, თქვა რომ საკურსო ნაშრომი ეს არის სამეცნიერო ნაშრომი 15-20 გვერდიანი, რომელსაც აქვს თავისი წერის სტანდარტები, მაშინ რა განასხვავებს მას სამაგისტრო ნაშრომისგან , რადგანაც სამაგისტრო ნაშრომი ეს არის ერთგვარი კვლევითი ნაშრომი, უფრო ვრცელი ფორმით და თავისი პრინციპებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთბაშად სტუდენტისთვის დაახლოებით 50-60 გვერდიანი , დიდი რაოდენობით დაწერა მოცულობითი ნაშრომის და კვლევის სათანადო უნარები მომზადების გარეშე საკამოდ რთულია. აქედან გამომდინარე, მიიღეს გადაწყვეტილება შეეთავაზებინათ მცირე მოცულობის ნაშრომის შექმნა, რომელიც მას ამ უნარებს ჩამოუყალიბებს და განუვითარებს. რაც შეეხება კვლევას, სამაგისტრო ნაშრომი გაცილებით უფრო მაღალი დონის ნაშრომია და პირდაპირ კვლევის მეთოდების შემდეგ სამაგისტრო ნაშრომის დაწერა რთულია.
ნათია ზედგინიძემ დასვა ასევე კითხვა თუ არის განსაზღვრული სავალდებულო წინაპირობად საკურსო ნაშრომი .
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამაგისტო ნაშრომი სრულდება მას შემდეგ, რაც საკურსო ნაშრომი დაიწერება.

ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ პრაქტიკის კომპონენტი არის სასწავლო დისციპლინებში. დასვა კითხვა ერთ-ერთ კურსთან დაკავშირებით კერძოდ ''სამუზეუმო სამქეთა პრაქტიკა '', რომელიც 5 კრედიტისგან შედგება, 48 საათი არის აუდიტორიული სამუშაო, აქედან ლექცია 45, ჯგუფში მუშაობა 15 და გამოცდა 3, დასვა კითხვა სად არის აქ პრაქტიკის ადგილი; რაც შეეხება კურსის თემატიკას პრაქტიკისთვის დათმობილი ადგილი თემატიკაში ვერ ნახა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, მათთან ისტორიის მუზეუმი ძალიან ახლოს არის, ამიტომ სალექციო კურსის გარკვეული ნაწილი მიმდინარეობს თვითონ მუზეუმში. როდესაც ლექტორს მიჰყავს სალექციო კურსი, სტუდენტებს ადგილზე აჩვენებს როგორ ხდება ეს და იქვე ხდება პრაქტიკული ნაწილის გავლა. გარდა ამისა ტარდება სამუზეუმო ექსკურსია, რომელიც აუცილებელი კომპონენტია ცოდნისა და უნარების მიღებისთვის. ასევე კეთდება სამუზეუმო პრაქტიკის ანგარიში, რომელიც საბოლოო ცოდნა-უნარების შეჯამებას გულისხმობს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:12 სთ
დასრულების დრო: 19:54 სთ
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ აკაკი წერეთლის სახემწიფო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, , „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახემწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- ისტორიის დამატებითი პროგრამის სასწავლო გეგმა უნდა გადამუშავდეს და დაკომპლექტდეს ძირითად პროგრამაში არსებული სავალდებულო საგნების ბაზაზე. ამასთანავე, სასურველია, რომ მასში შეტანილ იქნას არჩევითობის კომპონენტიც;
- რეკომენდებულია გაფართოვდეს შინაარსის თემატიკა არაბული ქვეყნების კუთხით საგანში „ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების უახლესი ისტორია“, სადაც შინაარსში 10 კვირა ეთმობა თურქეთის ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებს, 4 კვირა – ირანს და 2 კვირა – ისრაელს.

რჩევები:

- სასურველი იქნება, თუ ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში ჩამატებული იქნება რამდენიმე არჩევითი საგანი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაზე (მაგალითად, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორია, თურქეთის ისტორია, ირანის ისტორია, არაბული ქვეყნების ისტორია და ა.შ.), რომლებიც ხელს შეუწყობდა ამ რეგიონის ისტორიით დაინტერესებულ სტუდენტს თავისი ცოდნის გაღრმავებაში;
- სასურველია, რომ ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში, არჩევითი საგნის სახით, დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი, რათა სტუდენტებმა საბაკალავრო დონეზე დამოუკიდებლად ნაშრომის შესრულების გამოცდილება შეიძინონ;
- სასურველია, განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა შემდეგ სილაბუსებში: „დასავლეთ ევროპის ისტორია XIV ს. I ნახევრიდან XVII საუკუნეების I ნახევრამდე“; „დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ს ისტორია 1640-1815 წლებში“, „ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის უახლესი ისტორია (1939-1990 წწ.)“;
- სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში ჩანდეს, ამ კვლევიდან გამომდინარე, რა გასაუმჯობესებელი მხარეები გამოიკვეთა, რა გამოცდილება იქნა პროგრამაზე მუშაობისას გაზიარებული და რა კუთხით განაპირობა ამ მოსაზრებებმა პროგრამაში გარკვეული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა;
- სასურველია, სტუდენტების კითხვარები წარმოდგენილი იყოს უფრო ინფორმაციულად და სტუდენტებს მიეცეთ უფრო მკაფიო მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება, რათა შესაბამისმა სამსახურებმა იცოდეს სტუდენტების აზრი და შეძლოს თვალყური ადევნოს პროგრესს, რომელიც განხორციელდა სტუდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “არქეოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რჩევები:

- სასურველია, რომ არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში, არჩევითი საგნის სახით, დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი, რათა სტუდენტებმა საბაკალავრო დონეზე დამოუკიდებლად ნაშრომის შესრულების გამოცდილება შეიძინონ;
- უმჯობესი იქნება, თუ ლექტორ-მასწავლებლები რუსულ ლიტერატურაში დაცულ კონტენტს თავიანთ რიდერებში მოათავსებენ და ასე მიაწვდიან სტუდენტებს;
- სასურველია, ანტიკური არქეოლოგიის სილაბუსის შინაარსში დაემატოს ელინისტური ხანისა და რომაული პერიოდის თემები;
- სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში ჩანდეს, თუ ამ კვლევიდან გამომდინარე, რა გასაუმჯობესებელი მხარეები გამოიკვეთა, რა გამოცდილება იქნა პროგრამაზე მუშაობისას გაზიარებული და რა კუთხით განაპირობა ამ მოსაზრებებმა პროგრამაში გარკვეული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა;
- სასურველია, სტუდენტების კითხვარები წარმოდგენილი იყოს უფრო ინფორმაციულად და სტუდენტებს მიეცეთ უფრო მკაფიო მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება, რათა შესაბამისმა სამსახურებმა იცოდეს სტუდენტების აზრი და შეძლოს თვალყური ადევნოს პროგრესს, რომელიც განხორციელდა სტუდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ისტორიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სასწავლო პროგრამაში განისაზღვროს სასწავლო კურსების "ისტორიის კვლევის მეთოდოლოგია" და "საკურსო ნაშრომი"-ს ადგილი და მათი თანმიმდევრობა აკადემიურ სემესტრებში;
- რეკომენდებულია განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა შემდეგ სილაბუსებში: „აშშ-ის ისტორია 1900-1941 წლებში“, „აშშ-ის ისტორია 1941 – 2000 წლებში“, „დიდი ბრიტანეთი 1900-1939 წლებში“, „დიდი ბრიტანეთი 1940-2010 წლებში“;
- გადაიხედოს და შეიცვალოს სამაგისტრო და საკურსო ნაშრომების შეფასების წესი იმგვარად, რომ შემცირდეს კომისიის წევრების შეფასების ხვედრითი წილი;

- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხი დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

რჩევები:

- სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში ჩანდეს, თუ ამ კვლევიდან გამომდინარე, რა გასაუმჯობესებელი მხარეები გამოიკვეთა, რა გამოცდილება იქნა პროგრამაზე მუშაობისას გაზიარებული და რა კუთხით განაპირობა ამ მოსაზრებებმა პროგრამაში გარკვეული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა;
- სასურველია, სტუდენტების კითხვარები წარმოდგენილი იყოს უფრო ინფორმაციულად და სტუდენტებს მიეცეთ უფრო მკაფიო მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება, რათა შესაბამისმა სამსახურებმა იცოდეს სტუდენტების აზრი და შეძლოს თვალყური ადევნოს პროგრესს, რომელიც განხორციელდა სტუდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის და ანტიკური ცივილიზაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის და ანტიკური ცივილიზაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:
გადაიხედოს და შეიცვალოს სამაგისტრო და საკურსო ნაშრომების შეფასების წესი იმგვარად, რომ შემცირდეს კომისიის წევრების შეფასების ხვედრითი წილი.

რჩევები:

- სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში ჩანდეს, თუ ამ კვლევიდან გამომდინარე, რა გასაუმჯობესებელი მხარეები გამოიკვეთა, რა გამოცდილება იქნა პროგრამაზე მუშაობისას გაზიარებული და რა კუთხით განაპირობა ამ მოსაზრებებმა პროგრამაში გარკვეული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა;

- სასურველია, სტუდენტების კითხვარები წარმოდგენილი იყოს უფრო ინფორმაციულად და სტუდენტებს მიეცეთ უფრო მკაფიო მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება, რათა შესაბამისმა სამსახურებმა იცოდეს სტუდენტების აზრი და შეძლოს თვალყური ადევნოს პროგრესს, რომელიც განხორციელდა სტუდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ დააყენა შუამდგომლობა, რომ გადაწყვეტილება ამ პროგრამებთან დაკავშირებით ძალაში შევიდეს 2023 წლის 21 მარტიდან, რასაც სხდომაზე დამსწრე წევრები დაეთანხმნენ და დააკმაყოფილეს აღნიშნული შუამდგომლობა

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2023 წლის 21 მარტის 19:55 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი